ეროვნული ბიბლიოთეკა

3 14

№ 1

ბავშვი

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი.

იზარდე, მწვანე, ბავშვო,
დაპურდი, ფანაოს.
ვ. დ.

155

იანვარი, 1915 წ.

თბილისი

✦ წელიწადი მეოცდაექვსე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1915

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახიკოს ბატკანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საასალწლო ნანა.

ციცო, ციცო, ციცო,
ტკბილათ იღლი თვალებსა,
ელენეს ძილი ერევა,
„ეს ვერ გაგიდებ კარებსა“.

ალერსით, ნელის ნანის თქმით
ძლივას ჩაეგდე ძილშია;
რა გაქვს, რას შემოჰხსაკისარ,
რაში მიდგები წილშია.

აფისო! წადი, ნუ უშლი
ჩემს შვილს ძილსა და ნანასა,
როცა დრო მქონდა ვაძღობდი,
კატებს ბევრს შენისთანასა!..

ნანინა, ნანა, ძუძუნი
ნანინა, შენი ჭირიმე,
ზოგჯერ რომ შენთვის ვიცინი,
ხანდისან ჩემთვის ეტირი მე.

შვილო, შენ შემოგცინიან
საგანთიადო მთიები,
შენს მომავლისთვის იბრძვიან
შენი მამა და ძიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანინა, ნანა კვნესამე
ნანინა, შვილო გულისა,
შენ უნდა ვახდე მკურნალი
მათ ნატეკიარი წელულისა.

დედის ვარდო და იმედო,
ნანა, ნუ გამოფხიზლდები;
შვილო, თუ დმერთი მოგვსედავს,
სწორედ კაი დროს იზრდები...

აციცო, ციცო, აციცო
ნუ აფსაკუნებ კარებსა;
ელენეს ძილი ერევა
და ტკბილათ ლულავს თვალებსა.

შიო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფირაპეი

I

ცი აჩიკო, ჰეტრემ რა თქვა? ნაღვლიანის სმით და ატრემლებულის თვალებით მიმართა ათის წლის ქეთომ თავის მომდევნო მმას.

— რა თქვა? დაეკითხა აჩიკო, რომელიც ამ დროს წიგნებს ალაგებდა.

— რაიო და ორივე ბატკანი სააღდგომოთ უნდა დავკლაო, ერთი უნდა შევწვაო და...

— როგორ არა, იმისმა სიცოცხლემ. აღარ გაა-თავებია აჩიკომ და გაჯარდა საშხარეულოსაკენ. ქეთოც უკან დაედევნა.

ბავშვების მამა ვახტანგი ქალაქში ცნობილი ვეტერინარი იყო და აღდგომის კვირამა ორი ბატკანი ძღვნათ მიიღო.

ბავშვები ბატკნებს თავს ევლებოდნენ; ხან ბალახი მოჭქონდათ ეზოს ბადჩიდან, ხან ჰური, ხან რძე. ერთს წითელი ლენტი შეაბეს კისერზე, მეორეს ყვითელი და სახელებიც გამოუნახეს—გულ-წითელა და გულ-ყვითელა.

— ჰეტრე, რა გითქვამს შენ ჭა, რა გითქვამს? მიუბრუნდა ჰეტრეს აჩიკო.

— ახლა მე პენთვის არა მცალია, საცაა ბატონი მობრძანდება და სადილი მზათ არა მაქვს. უპასუხა ჰეტრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ სიტყვას ბანზე ნუ აგდებ. ბატკნები უნდა საადგომოთ დავკლაო, მართლა ასე თქვი?

— უნდა დავკლა, აბა უბეში სომ არ ჩავისვამ?

— ჭოო, უნდა დაკლა, დიახ! ეცენ ორივე ჰირში.

— აბა რათ გვინდა, თუ არ დავკლათ?

— როგორ თუ რათ გვინდა! ცოდვა არ არის მერე?

— ვინ გითხრა ცოდვაა, ჰირუტყვის დაკვლა რა ცოდვაა!

— თუ ცოდვა არ არის, მამ რათ დაწერა ვაჟა-ფშაველამ შვლის ნუკრის ნაამბობი! უპასუხა ქეთომ.

— შვლის ნუკრის ნაამბობი რაღაცა არი, მე არ ვიცი და ბატკნებს რომ ზეგ საღამოს შეგბრაწამ და მოვხარშამ, ამაზე თუნდა დაგენამლავებით.

— ჭო, შებრაწამ, როგორ არა! ცხარობდა აჩიკო.

— არა გრცხვენია, ჰეტრე, მერე არ შეგეცოდება, ეელს რომ გამოჭრი? მიმართა ქეთომ.

— მე რას ჩამცეებისართ? თუ ბატონი და ქალ-ბატონი მიბრძანებენ, ნუ დაკლავო, არ დავკლამ.

ზარის ხმა მოისმა, ვასტანგი მოვიდა.

ბავშები სამზარეულოდან ბალკონზე გამოვიდენ.

— იცი, აჩიკო, რა ვქნათ. შენ ძამას შეეხვეწე და მე დედას, რომ ბატკნები არ დააკვლევინონ ჰეტრეს. ურჩია ქეთომ.

ეს აზრი აჩიკოს მოეწონა და გასწია ორივემ დედ-ძამისაკენ.

ბავშების დედა ელენე როიალს უკრავდა, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო მასთან შევიდა; ამოუდგა კუერდში და დაუწყო თვალებში დიმილითა და ხელწნით ეურება.

— რა გინდა, შვილო! მიმართა დედამ.

— იცი, დედა, მე შენთან ერთი სათხოვარი მაქვს და უთუოდ უნდა ამისრულო.

— რა სათხოვარი გაქვს, მითხარი და.

— არა, ჯერ სიტყვა მომეცი, რომ ამისრულო და...

— რა გინდა, ოგო, რატომ არ მეტყვი?

— არა დედა, ჯერ სიტყვა მომეცი და გეტყვი.

— შეგისრულებ, კარგი.

— იცი, ჩემო დედა, შენ გენაცვალე ბატკნებს ნუ დაგკლამთ.

— აბა რა ეჭამოთ, ოგო, ამ აღდგომას?

— გესა სხვა საჭმელი არ არის?

— მაშ რა ეუოთ ამ ბატკნებს, სად შევინახოთ?

— მე და ახიკო მოუწლით, ბალახს ამოგუტანთ ხოლმე ეზოდან, რძეს გასმევთ.

— მე ვერაფერს გეტყვი. თუ მამაშენი თანახმა იქნება, მეც თანახმა ვარ.

ქეთო გადაეხვია დედას და დაუწყო კოცნა.

ვასტანგი სადილის მოლოდინში გაზეთსა ჭკითხულობდა, როდესაც იმის სამუშაო ოთახში ახიკომ კარი შეაღო.

— ოო! ვასლაკვართ, არჩილ-ბეგს.

— რა წერია გაზეთში შამა?

— რა წერია? გაკვეთილები კარგათ ისწავლე და ცოტა იცელქეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტი არაფერი? ბბა მომეცი შე წაგიკითხო.

ახიკომ გაზეთი გამოართვა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ ბოლოზე შეჩერდა და დაიწყო დიმილით, ვითომდა ეკითხულობდ:

— ბატკნების დაკვლა ცოდვა არის, ბატკნებს ხომ დედები ჰყავთ და იტირებენ; ამიტომ ბატკნების დაკვლა არ შეიძლება, აი რა წერია.

— ეგ შენი საკუთარი ნაწარმოებია და შენს ცხვირს წაუკითხე ხოლმე წაადლო ხელი ვასტანგმა ახიკოს, კალთაში ჩაიჯინა და შუბლზე აკოცა.

— იცი, მამა, ნუ დაკვლამთ ჩვენს ბატკნებს, ისეთი ლამაზები არიან, ისეთი კარგები...

— მაშ რა ექნათ, ბიჭო, მშიერები ვიყოთ?

— ცოდვა არის, ხომ ეტკინებათ, ყელს რომ გამოსჭრიან. ბატკანს ნუ ვჭამთ, სხვა რამე ვჭამოთ.

— ბატკანი, ბიჭო, ჰირუტყვია, იმას ჭკუა-გონება არა აქეს, როცა კლავენ, არაფერიც არ ესმის, ამიტომ საცოდავიც არ არის.

— ჭკუა როგორ არა აქვს, გუშინ ჩვენ ბატკანს ძაღლი გამოუდგა მეზობლის და ჩულ ბღავილით ამოვარდა კიბეზე.

— თუ არ დავკალით, შვილო, რა გამოსადეგია, მაშ რა ვუყოთ?

— იყონ ისე ჩვენთან. ჩვენ, შე და ქეთო მოუკალით.

— შენ წიგნები ისწავლე კარგათ და მწყემსობა რა შენი საქმეა.

— არა, მამა, ნუ დაკვლამთ, ღმერთმანი ცოდვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ცოდვაა ბიჭო, ვინ გითხრა ბატკნის დაკვლა ცოდვაა, რას სულელობ! ბატკანიც, ცხვარიც იმიტომ გაუჩენია ღმერთს, რომ ჩვენა ვსჭამოთ.

ვასტანგმა გაჩუთის კითხვა განაგრძო.

მამის სიტყვებმა აჩიკო ვერ დააჯერა; ის გულში დარწმუნებული იყო, რომ ბატკნების დაკვლა და ჭამა ცოდვა იყო.

II

— აჩიკო, რა გითხრა მამამ? დაეკითხა ნასადილევს ქეთო.

— უნდა დაგკლათო, მაშ რათ გვინდაო.

ბატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენც იფიქრე და მეც ვიფიქრებ, აჩიკო, მიმართა ქეთომ, რომ ბატკნები გადავარჩინოთ. მერე რაც მოიფიქრო მითხარი, მე კიდევ შენ გეტყვი.

ამ დროს ბატკნები მხიარულად შემობაკუნდენ ბავშვების ოთახში.

— ჩემი ბაკუნაი, ჩემი ბაკუნაი! ამ სიტყვებით ბავშვებმა ალერსი და კოცნა დაუწყეს ბატკნებს.

— იცი, აჩიკო, მე მოვიგონე! მხიარულის სახით წამოიძახა ქეთომ.

— რა მოიგონე?

— წავიყვანოთ ჩუმათ ბატკნები და აი იქით რომ მინდორია, მე და შენ რომ წაგვიყვანა დედამ სასეირნოთ ერთხელ, იქ გაუშვათ. ვეღარ ნახავენ და რაღას დაკლავენ!

— ჭიი, მერე იქ ხომ ძაღლები შეჭამენ ღამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგლებს იქ რა უნდა?

— როგორ რა უნდა? დამე მგლები სულ მინდვრებში არ დარბიან, იქნება რამე ვნახოთო?

— მგლები სოფლებშია, ქალაქში მგელს რა უნდა.

— თუ მგელი არ იქნება, სხვა ვინმე ნახავს და დაკლავს. არა, მე უკეთესი მოვიგონე და ამ სიტყვებით აჩიკო გავარდა სამზარეულოში.

— ჰეტრე, ბატკნები საიდან მოჭავთ! დაეკითხა ის მზარეულს.

— რა ვიცი, საიდან მოჭავთ.

— გეცოდინება, მითხარი, რა არი!

— სიდანა და შირაქიდანაო, ასე გამიგონია.

— შირაქი სად არის?

— შირაქში? ეი მარშინაში რო ჩაჯდები და წახვალ ბაქოსკენ, სანამ ბაქოში მიხვიდოდე შირაქიაო, ასე ამბობენ და მე კი არა ვეოფილვარ.

აჩიკომ ხტუნვით გამოსწია ქეთოსაკენ და დაადო თუ არა ჰირი ქეთოს დანახვაზე, სიცილი აუვარდა.

— რას იცინი?

— იცი, ქეთო, დაიწყო აჩიკომ, როცა სიცილით გული იჯერა. ჩვენი ბატკნები თავის დედებს უნდა მიუვანოთ.

— მერე სად არიან მაგათი დედები?

— სადა და შირაქში.

— ვინ გითხრა?

— ვინა და ჰეტრემ.

— ჰეტრემ მერე რა იცის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, შენც ერთი! როგორ არ იცის: ბატკნები შირაქიდან მოჰყავთო, შირაქი ბაქოსკენ არისო, უნდა მატარებლით წასვიდეთო და შირაქში მისულთო.

აჩიკოსა და ქეთოს გაგონილი ჰქონდათ, რომ ცხვარი ათას ბატკანში გამოარჩევს თავის კრავს და აგრეთვე კრავიც ათას ცხვარში იცნობს თავის დედას, სოლო საქმე იმაში იყო, როგორ ჩასულიყვნენ შირაქში.

— აბა ჩვენი ფული დავთვალოთ, რამდენი გვაქვს, მიმართა აჩიკომ ქეთოს.

სან დედა და სან მამა ბავშებს ფულს ამლევდენ და ისინიც აგროვებდენ, ბებიას კაბა უნდა ვუყიდოთო.

ფულს ბავშები სამეცადინო ძაგიდის უჯრაში ინახავდენ.

გამოაღეს უჯრა და დაუწყეს ფულების თვლა. სუთი მანეთი, ექვსი შაური და ოთხი კაპეიკი აღმოჩნდა.

ბავშებმა გადასწვიტეს, რომ ეს ფული სრულებით საკმარისი იყო შირაქში ჩასასულელათ.

ორსაამ დღეში თუ თავის განზრახვას სისრულეში არ მოიყვანდენ, შემდეგ გვიან იქნებოდა: ჰეტრე ბატკნებს დაჰკლავდა, აჩიკომ გადაცალა ჰატარა კალათი, სადაც სხვა და სხვა საოამაშოები ელაგა, შაგ ბალახი ჩატენა, რომ გზაში ბატკნებისათვის ეჭშიათ, ზედ ჰური და ყველი დაალაგა და დაჰკეტა.

მეორე დღეს ნასადილევს, როცა ვასტანგს ეძინა, მზარეული სასლში არ იყო და ელენე სავაჭროთ წავიდა, რადგანაც დღესასწაულები ასლოვდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთომ და აჩიკომ კამოაბეს ბაწარი თავის ბატკნებს, აჩიკომ კალათი მოიგდო გვერდზე, ჩუმათ გამოვიდენ სახლიდან და გასწიეს სადგურისაკენ.

ბაგშებმა სადგურის გზა კარგათ იცოდენ, რადგანაც ზაფხულობით შუადამ სოფელში დადიოდენ.

სადგური ხალხით იყო გატენილი,—ზოგი შეადიოდა, ზოგი გამოდიოდა. ყველა ეროვნებისა და წლოვანების ჰირნი ერომანეთში იდგოდენ. ქეთო და აჩიკო მათის ბატკნებით, ეტეობოდა, ბევრს აკვირვებდა, მაგრამ ყველას თავისი საქმე ჰქონდა და ბაგშებს არავინ აქცევდა დიდ ყურადღებას.

— ქეთო, შენ აქ მომიცადე და მე კიდევ ბილეთს ვიყიდი. მიმართა აჩიკომ ქეთოს, ჩაბარა თავისი ბატკანიც, კალათიც და გასწია ბილეთის საყიდლათ.

— ორი ბილეთი მომეცი შირაქში! გაისმა აჩიკოს ხმა.

ბილეთის გამყიდველს გაოცება გამოეხატა სახეზე.

— უფროსი არავინა გყავს, რა გინდა?

— ორი ბილეთი მომეცი ჩქარა, შირაქში მივდიგართ მე და ქეთო.

— რომელ სადგურში მიდიხარ?

— შირაქში, შირაქში, აკი გითხარი.

— ბაგშო, მაგისთანა სადგური არ არის.

— როგორ არ არის, რა ვქნა! შირაქი როგორ არ იცი, აი ბატკნები რომ მოჰყავთ ხოლმე. იქა.

ბილეთების გამყიდველს გაეცინა. ხხვა მგზავრებმა აჩიკოს ყელი ჭკრეს.

— შენ, შვილო, სახლში წადი, გაკვეთილები ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლე, ჩვენ აქ ტეუილა გვაცდენ! წაილაპარაკა ფიღაცამ.

— მოშორდი, მოშორდი, რა გინდა აქ, სხვებს უშლი! დაუტატანა ქანდარმმა და ჩიკო დარცხვენილი გაშორდუნდა.

— თუ მამატეუა ჰეტრემ, როგორ მამატეუა? თუ არა და შირაქი როგორ არ იცოდა ბილეთების გამეიდეკელმა? გაიფიქრა ჩიკომ და გამოსწია ქეთოსკენ.

— არ მომცა ბილეთები, შირაქი სად არის, არ ვიცი, მოწეენილის სმით უთხრა ქეთოს.

ბავშები დაფიქრებული იდგენ და აღარ იცოდენ, რა ექნათ.

შორი ახლოს ორი ახალგაზრდა მოკლე ახალუსში და შავ ჩოხაში გამოწეობილი იდგენ და ჩიკოს და ქეთოს თვალს არ აშორებდენ.

მატარებელი დაიძრა, სადგური ცოტა დაცალიერდა.

ჩიკო და ქეთო თავისი ბატკნებით სულ ერთ ალაგას იდგენ.

— გეურქ, გეურქ! ხელი წაჰკრა ერთმა ახალგაზრდამ მეორეს.

— ჰამე, მისო!

— აქ საქმე როგორღაც არის, აბა მივიდეთ.

ახალგაზრდები მიუახლოვდენ ბავშებს.

— თქვენ რომლის შვილი ხართ! დაეკითხა ერთი.

— ვასტანგ თვალჭრელიძისა. უპასუხა ხსარტათ ჩიკომ.

— გეურქ, ჩვენი ვასტანგის შვილები ეოფილან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა თქვენი, მე ვასტანგის ნათლული ვარ. აქ რა გინდათ?

— ჩვენ შირაქში მივდივართ და ბილეთები არ მომცეს. შესხივლა ახიკომ. შირაქი არ ვიცი, და ძაძ რადა იცის, თუ შირაქიც არ იცის, ამდენი ბატკანი იქიდან მოჭვავთ.

— მე მგონია იცოდა, მაგრამ განგებ არ მოგვეიდა ბილეთები. დაუშატა წყრომით ქეთომ.

— მერე, მარტო მიდიხართ? დაკითხა გეურქა.

— მარტო მივდივართ, ბატკნები უნდა წავიყვანოთ.

— შირაქში ხომ ჰოეზდი არ მიდის, ფაეტონით წავიდეთ. ჩემი ნათლიას შვილები ეოფილხართ და შირაქში ვერ ჩაგიყვანთ? აქაე არის ახლოს. თქვენ სკოლაში დადიხართ?

— სათავადაზნაურო გიმნაზიაში ვსწავლობთ.

— კიდევაც მიტომ არ მინახავხართ, თორემ ჩემ ნათლია ვასტანგოთან მე ხმირათ დავდივარ ხოლმე.

— იცი რა, მიმართა ახიკომ, როდესაც უკან დავებრუნდებით, მაძას არ უთხრა, რომ შირაქში ვიყავით.

— ბატონი ხართ.

— მალე დავბრუნდებით? დაეკითხა ქეთო.

— ვა, ამ საღამოსვე სასლში მიგიყვანთ.

ამ სიტყვებით ასალგაზრდებმა დაუძახეს ეტლს, ჩასხეს შიგ ბავშები თავისი ბატკნებიანა და გაუდგენ გზას.

გზაზე ახიკოს ენა არ გაუჩერებია, უამბო ეოველივე და თან ეხვეწებოდა: როცა შირაქიდან სასლში დავბრუნდებით მაძას არ უთხრათ, ბატკნები სად წავიყვანეთო.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეშვიდეს ალარ ერგო!

იყო მუდამ მოწყენილია, მუდამ მარტოა უტოლ-ამხანაგოთ. მამა რომ ზაფხულში ჯარში მიდიოდა და ეთხოვებოდა უთხრა: „დედა არ გაა-ჯავრო, არ შეაწუხო. ჭკვიანათ იყავი; ახლა დიდი ხარ, მალე სწავლის დრო დაგიდგებაო.

თიკო დედას როგორ გააჯავრებდა, როდესაც მთელი დღეები ვერა სედავდა იმას. ის უთენიას წა-მოდგებოდა და სადღაც გაქრებოდა. მთელი დღე ვი-ნა ნახავდა მას. დილით ერთი კი აკოცებდა შვილს, პირჯვარს გადასწერდა და ის იყო და ისა...

ერთხელ თიკომ ჰკითხა: „სადა ხარ, დედილო! უშენოთ მარტო სულ მოწყენილი ვარ!

დედამ ერთი კიდევ მხურვალეთ გადაჰკოცნა და უთხრა:

— შვილო, ლაზარეთში მივდივარ ჯარში დაჭრი-ლების მოსავლელათ. მამიდა თეკლე ხომ იცი რომ კუტია—შენახვა უნდა. დედა ჩემსაც სოფელში ფული უნდა მივაწოდო, ჩემი ძმები ჯარში არიან. ეგელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს უნდა გავწვდე, გასაჭირი დრო.—თქვა და სახ-ქაროთ გაიქცა.

სახლ-კარის მომვლელი და საჭმლის გამკეთებელი სალომე იო. დიდი ხანია ამ ოჯახს შესწირა თავი, ახლა, როდესაც გასაჭირი დრო დადგა, რასაკვირველია არ უღალატებდა ამათ. ის მუდამ მოღუშული იო და თავ-ჰირი ჩამოსტიროდა, საქმე ბევრი ჭქონდა და თიკოს გასართობათ რას მოიცლიდა.

დილაობით, დედის წასვლის შემდეგ, თიკოს აღარ ეძინებოდა. მაგრამ სალომეს შიშით ადგომას ვერა ბედავდა. ის ბაზარში წასვლისას მოამზადებდა:

— სანამ არ დაბრუნდე, არ დაიძრა ქვეშაგებიდან!

სალომეს დროს გატარება და ამბების შეტეობა, მხოლოთ ამ ბაზარში იო და როდის ედირსებოდა დაბრუნება—ვინ იცის!

იწვა საბრალო თიკო და ფიქრობდა: ნეტავი როდის გამეზავნიან სასწავლებელში, იქ ამხანაგები მეყოლება, ერთათ ვითამაშებთ...

მართალია სანაყარდოთ თიკოს სახლ წინ კაი დიდი ადგილი შემოფიცრული იო, ეს ადგილი არც თუ ბალჩა იო, არც თუ ეზო: ორი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტადრე შუადღისას ერთობ დაღალულნი და ძლიერნი სახლში ბრუნდებოდენ.

— შენ ეი, სანდრო, სახლში რომ გეჩქარება დაბრუნება, ვითომ და რა ეაბლუ-ფლაგი მოგელის! მოდი ერთი ცოტა ვიკოჭაოთ.

— რა მეკოჭაება, მუცელი შიმშილით ქუწვის, სახლში გაძსმარ ხურის ნაჭერს მაინც ვიძოკი.

თიკოს ესმოდა ბავშვების ლაპარაკი და აგონდებოდა სალომეს გაკეთებული შაქრის ხურები და ქადები.

— ნერა, მაგათ კი არა აქვთ შაქრის ხურები და ქადები?

და თიკოს გული სიბრალულით ევსებოდა. სხვისათ ბავშვებიც შეისედავდენ ფიცრულიდან და რომ დაინახავდენ მორთულ თიკოს—ერთმანეთს ეტეოდენ:

— დახე, დახე რა მორთული „ბუკლაა“!

თიკომ რამდენჯერმე ჩამოუგდო სალომეს ლაპარაკი ბავშვების სიმშილზე, მაგრამ სალომეს უკმეხათ შეუტია: მშიერები ბევრნი არიან და ვის გავაძღობთო.

ერთხელ თიკომ თვალი მოჰკრა სალომეს რომ შემოიტანა სინით ხატარა ცხელ-ცხელი დაბრაწული ქადები და გულში რადაცა გაიტარა.

სალომეს შედგა შაფში ქადები და გავიდა სამზარეულოში.

თიკო ორჯელ-სამჯელ მიუახლოვდა ქადებს, გადახედ-გადმოხედა. სწორეთ ამ დროს ქუჩიდან მოესმა ბავშვების სმაურობა, ისინი სკოლიდან ბრუნდებოდენ. თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ სელ-ახლათ გადახვედა ქადებს, დათვალა, სწორეთ ექვსი იყო — იმდენი — რამდენიც ჩვენულებრივ ამსანაგი-ბავშვები გაივლიდენ ამათ ქუჩაზე. სწრაფლად აიღო ქადები, ჩაიწყო წინ-საფარში, წამს გაურბენია ბავშვებს და ფიცრულიდან მიაწოდა. მაგრამ დახეთ ამის შეწუხებას, რომ ერთს არ ერგო. დღეს მეშვიდე ბავშვი მიმატებოდათ ამათ. ეს მეშვიდე უმაწვილი სელს უწვდიდა... თიკო განცვიფრდა, უკან დაიწია და შეკარდა სახლში.

კარგა გვიანობას, დედა რომ დაბრუნდა სახლში, სალომე მივიდა შკაფთან და უნდოდა კვეხნით ქალ-ბატონის წინ სინით დაედგა დაბრაწული ქადები და სინი ცარიელი რომ დაუხვდა გაოცდა.

ატუდა ოჯახში დიდი აურ-ზაური: ვინ ახლა სელი, ვინ წაიღებდა ამოდენა ქადებს, კატები ვერ წაიღებდენ — სალომესგან ამოწუეტილი იყვენ, ძალლის სსენებაც არეამარეზე არ იყო.

თიკო გაბუნჩული იჯდა დობის ბირაკ და ხმას არ იღებდა. ბევრი გამოძიების და დაკვირვების შემდეგ სალომემ გადასწვიტ, რომ თიკოს ამბავია, მისი წადებულია და დაუწეო წერომა და მუქარა, რომ კვლავ თვალით არ დაანახვებს ქადებს, რომ წუწკობაა ამოდენა ქადების შეჭმა. დედაც ძალიან გაუწერ.

თიკო გაკერპდა, თავს დანაშაულათ არა სთვლი-და და დაიწეო გულ-ამოსკვნით ტირილი.

დედამ ჩაიკრა შვილი გულში და რომ ვერა გზით დაჩუმა უთხრა:

— შვილო, რაც იყო იყო, რადასა ტირი.

თიკომ ქვითინით წამოიძახა:

— ექვსის მეტი არ იყო! მეშვიდეს არ ერგო!

ანასტასია წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ვ ი ლ ო ბ ი ლ ი.

ბრძოლის ველიდან.



ნიკიტა რომ გონს მოვიდა, ბრძოლის ველზე არა ჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. წამოიწია და ველზე ჭრილობას დაუწყო შინჯვა. საშინლათ უსურდა ველი და სტეხდა. სახელო სიცხლით იყო გაჟღენთილი და ზედ გამხმარი. ბინდდებოდა, მტრების სროლა აქა-იქ ღა ისმოდა.

— ალბათ ჩვენები წასულან, გაიფიქრა ნიკიტამ — ძალე სანიტარები მოვლენ. წამოდგა, ბარბაცით ტყეში შეავიდა და იქ ერთ ხის ძირას დაჯდა. დრო გამოშეებით შორიდან ზარბაზნების გრიალი და ტეეიის მფრქვეველების ტკცანი ისმოდა. ტყეს მაშინ გუგუნი გაჭქონდა, ხეები ხანზარებდენ და ფოთლები შეილით ზედ ცვიოდენ ნიკიტას. ხან და ხან ცას თითქოს რაღაც ამობდა — ეს ზარბაზნის ტეეია იყო. ნიკიტა სიცივემ აიტანა, სულ კანკალებდა, მაკრამ გაეხვია მაზარაში, მიეკრო ხეს და ჩასთვლიმა.

სუეველაფერი გაჭქრა: ოძი, ზარბაზნების გრიალი...

სიზმარსა სედავს: ვითომ შინ არის, ეს არის ქალაქიდან დაბრუნებულა და ჩაის შეექცეეა. თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაშიკოსთვის ანბანი მოუტანია, ძარუსასთვისაც დადოფალა. ნაზათ უსვამს ხელს ძარუსას ოქროს თმიან სუჯუჯა თავს, სამი წლისაა და რა გაეშმაგებულია... ოჰ, როგორ აწუხებს ამას წეურვილი! სვამს, სვამს ჩაის და მაინც ვერ იკლავს წეურვილს. ნიკიტა შეიშმუშნა და გამოეღვიძა... თენდებოდა.. წამოდგა, მიისედ-მოისედა და ალაგი იცნო. სწორეთ ამ ალაგას ჰქონდათ მტრებთან შეტაკება, აი მოძორებით აკსტრიელების სოფელიც მოსჩანდა და ნიკიტაც იქითკენ გაეშურა. რა ლამაზათ გამოსჩანდენ გუშინ თეთრი სახლები მწვანე ხეირ ბაღებში. ახლა კი უველაფერი აოხრებული და გადამწვარია, სახლების მაგივრათ გაშავებული კედლები ღა მოსჩანან, ად-მიანის ხსენება არსად არის. ნიკიტამ იცოდა, რომ ეს სოფელი მტრებისაგან მიტოვებული იეო და თამაძათ მიდიოდა, არაფრისა ეშინოდა. შიმშილი და წეურვილი აწუხებდა, მაგრამ ამ აოხრებულ დამწვარ სახლებში აბა რას იშოვიდა! კარგა მანძილი რომ გაიარა, ძოშორებით ფერდობზე რამდენიმე სუფთა გადარჩენილი სახლი დაინახა და იქითკენ გაეშურა. ძალ-ღონე მოემატა, იმედი ჰქონდა—რომ იქ იშოვიდა საჭმელ-სასმელს. მიუახლოვდა სახლსა და უცებ შეკრთა:

— შემიწეალე, უფალო, — შეშინებით წაიჩურჩულა ნიკიტამ.

საიდანღაც ბავშვის ტირილი მოესმა. გაკვირვებით აქეთ-იქით იეურებოდა, ვერ გაგეგო საიდან ისმოდა ხმა. ბავშეს კი დრიალი გაჰქონდა. ნიკიტა შეძრწუნებული იდგა, ძოაგონდა თავისი სოფელი, ბატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მარუსა და ისეთმა შიშმა აიტანა, რომ ოჯახში, ბრძოლის დროსაც კი არ ეგრძნო ასეთი შიში.

— შეიწუალე, უფალო, იმეორებდა ნიკიტა და პირჯვარს იწერდა — ბავშვი დაუტოვებიათ, ბავშვი!

და გაექანა იმ სახლისაკენ, საიდანაც ტირილი ისმოდა, შევარდა შიგ, ხან ერთ კარებს ეცა, ხან მეორეს; ერთ-ერთ ოთახ.ს კედელთან ბავშვის საწოლი.ი, ორი წლისა მეტი არ იქნებოდა, გოგონა იწვა, როგორც გალიაში ფრთხიალებდა და მწარედ ტიროდა. ოთახი სულ აქოთებული იყო, ეტყობოდა სალხი საჩქაროთ გაცვინულიყო. კედლებთან კიდევ სამი სხვა ბავშვის საწოლი იდგა. „ბევრი ჭეოლიათ და სიჩქარისაგან დაეიწყებიათ ეს გოგონა", გაიფიქრა ნიკიტამ და მიუახლოვდა იმას. ბავშვა შიშისაგან ხმა გაკმენდა, აკანკალდა და თავი ბალიშ ქვეშ შეჰყო.

— ეშინია საწყალს, სთქვა ნიკიტამ და სუჭუჭა თმაზე ხელი გადუსვა.

— ნუ გეშინია, ნუ, აბა ერთი აქ მიეურე რა გაჩვენო, ჯიბიდან საშტვენი ამოიღო და ნელა დაუშტვინა.

ბავშვა თავი მაღლა აიღო და ნიკიტას შეხედა. გახარებულმა ნიკიტამ საშტვენი ხელში ჩაუდო.

— აბა კიდევ ნახე რა სათამაშოები მაქვს შენთვის, ჯიბიდან ტუვია და ღილი ამოიღო და ერთმანეთს დაუკაკუნა.

ბავშვი გაერთო, აღარა ტირდა. ნიკიტამ მაგიდაზე ჭიქით რძე დაინახა და ის იყო უნდა დაელია, რომ ბავშვი მოაგონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჭა, დალიე, გოგონა!

ის თავისი ორივე ჰატარა ხელით მივარდა ჭიქას და სულ დასცალა.

ნიკიტამ აშოიოხრა, შიმშილი და წყურვილი ძალიან აწუხებდა მას. კიდევ დაუშტკენა, ტუჩები დაუწკაპუნა და რომ ნახა ბავშვი აღარ ტირიხო საჭმელის საშოვრად გავიდა სხვა ოთახებში. სამზარეულოში თაროზე წყალი ნახა, გამხმარი ჰური და ბრინჯი. გამგელებულმა დაუწყო ჰურს და უმ ბრინჯს ჭამა და თან წყალს ატანდა. ბავშვი მოაგონდა და იმისკენ გაეშურა. გოგონა წუნარათ იჯდა და ხელში ღილსა და ტუვიას ათამაშებდა.

დაჭრილი ხელი ძალიან აწუხებდა ნიკიტას, საჭიორო იყო ძალე მისულიყო თავისიანებთან, მაგრამ ბავშს რა უყოს, აქ რომ დასტოვოს, ხომ შიმშილით მოკვდება...

მოაგონდა თავისი მარუსა... იმათ ხოფელს რომ მტერი შემოესიოს და მარუსაც ასე დარჩეს მარტოკა. ამ ფიქრმა ისე შეაშინა, ისე შეჭიზარა, რომ მაშინვე მივიდა ბავშვთან. ცალი ხელით, დიდი ვაივაგლახით გაახვია ემაწვილი საბანში, სადი ხელით აიყვანა და გაეშურა. ბავშვმაც ნდობით მოხვია ორივე ხელი კისერზე.

ნიკიტა გაუდგა გზას და საღამოძდინ შეუსვენებლივ სულ მიდიოდა. გოგონას რომ გზაში მოშიედეოდა მაშინვე გაშხმარ ჰურს მისცემდა და ჩაიჩუმებდა ხოლმე.

ძალიან დაიღალა. ბავშვის დაჭერით ხელი ძალიან სტკიოდა, ფეხებს ძლივს ადგამდა. ერთ ალაგას შეგდგა დასასვენებლათ და მძინარე გოგონა მიწაზე დაუშვა.

შორს გზაზე მტვრის ბუქს მოჰკვრა თვალი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიდაცეები მოდიან, ჩვენები იქნებიან—გაიფიქრა ნიკიტამ.

მართლაც მათი რაზმი გამოდგა. აი მოახლოვდენ კიდეც.

— მმებო! დაიუვირა ნიკიტამ და სიხარულით და სისუსტით თითქმის გონება დაჰკარგა...

ბავშვის ტირილმა და თავის მოძმეების ლაპარაკმა გამოაფხიზლა.

— ბავშვს არა დაუშავოთ რა, მაგისი რა ბრალია, ბუტბუტებდა ნიკიტა.

— ეს ბავშვი სად გიშოვია? დაეკითხა რაზმის უფროსი.

— დაეტოვებინათ, თქვენო აღმატებულებავ. გაქცეულან და ეს კი მიუტოვებიათ, მარტოკა ეგდო სახლში.

— რა უნდა უყოთ ესლა ამ ბავშვს, ასე რომ ღრიალებს. ვისა აქვს ამის თავი, წამოიძახა რაზმის უფროსმა.

— უბრძანეთ მე გადმომცენ ბავშვი, თქვენო აღმატებულებავ, ჩემთან შეჩვეულია.

ნიკიტას გადასცეს ბავშვი და ისიც მიეკრა ძას გულზე და მიუჩდა.

— ეს რა ხათაბალა გადაგვკიდე, ამბობდა უფროსი,—შენ დაჭრილი ხარ და მაშ ბავშვიანნა უნდა იმგზავრო დაჭრილებთან ერთათ!

ჯარის კაცები შემოეხვეიენ ნიკიტას და ნადგელიანათ შესცქეროდენ ბავშვს. ყველას მოგონდა თავისი ოჯახი... შვილები...

სანამ ექიმები ნიკიტას ხელს უხვევდენ, ბავშვი ერთ წამს არ შორდებოდა, მოკუნტულიეო და მუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზე მიჰკვროდა. დიდხანს მოუნდა ნიკიტას ძალა-
რებლით მოგზაურობას. სადგურებზე მატარებელი ძა-
ლიან დიდხანს ჩერდებოდა სოლმე, ხან და ხან, სხვა
მატარებელზე გადაჯდომაც მოუნდებოდა. როცა ნიკი-
ტა თავის გოგონით ხელში გამოვიდოდა სო-
ლმე მატარებელიდან ყველანი გაკვირვებით მისჩერე-
ბოდნენ და ჰკიცხავდნენ. ვინ იცის რაძღენს უაძბო
ნიკიტამ ბავშვის აძბავი, ყველანი გულ დასძით უგდებ-
დნენ ეურს, ქალების ცრემლებით ევსებოდათ თვალები,
ყველას ეცოდებოდა საბრალო ბავშვი.

ნიკიტას გზაში ძალიან აწუხებდა ხელი, დამე
ტკივილისაგან გამოეღვიძებოდა, ძაგრამ გვერდით
რომ ძძინარე გოგონას დაინახავდა, თითქოს ავიწყ-
დებოდა ყველაფერი.

დაჭრილებმა ძლივს მიაღწიეს დანიშნულ ად-
გილამდის, სადაც ნიკიტა უნდა ეწამლათ. მატა-
რებელი ექიმებით და მოწყალების დებით ა�სო, ყველანი გაკვირვებით უგდებდნენ ეურს ნიკი-
ტას ამბავს. დაჭრილები რიგ-რიგად გაჭეავდათ ძა-
ტარებლიდან. აი ნიკიტას ჯერიც მოდგა. ნიკიტამ
სიტყვის თქმა ვერ ძოასწრო, რომ ერთ ძადალ-ძა-
ღალ ექიმმა გოგონას დაავლო ხელი და მოწყალე-
ბის დას გადასცა—ამას თქვენ მოუარეთო.

ნიკიტა კი ავტომობილით საავადმყოფოში გაა-
ქანეს. იქ ის გააბანეს, ტანისამოსი გამოუცვალეს და
ექიმს წაუყვანეს. ექიმი დიდხანს შინჯავდა ნიკიტას
ხელს და ბოლოს უთხრა:—იცი, ძმაო, ეს ხელი ძო-
საჭრელია.

— რა უყოთ, თქვენო ადძატებულებაკ, კიდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი, რომ ცოცხალი გადავრჩი... რამდენი დაიხოცნენ იქ, ბრძოლის ველზე.

— ეოჩად, ეოჩად! შეაქო ექიმმა,—დღესვე უნდა გაგიკეთოთ ოპერაცია, თორე დაგვიანდება.

ნიკიტას რომ გამოეგვიძა, გონს რომ მოვიდა ოპერაციის შემდეგ, სული უკვე მოწრილი ჰქონდა. სუფთა ნათელ ოთახში იწვა. აქეთ-იქით, ირგვლივ სულ ავადმყოფები იწვენ, ოთახში წამლების სუნი ტრიალებდა. ნიკიტას არა სტკიოდა რა, მხოლოთ რღვაც აწუხებდა, მოსვენებას არ აძლევდა და ძილს უფრთხობდა. ნიკიტას ცოტ-ცოტა მოაგონდა ეველაფერი: ბრძოლის ველი, აოხრებული სოფელი, სახლი და საზარელი ბავშვის ტირილი.

— ჩემი ბოგონა!.. სად არის ესლა... დმერთო... კიდევაც იმიტომ მიკვნესდა გული, ის ჩომ მე შვილსაგით შევითვისე, ფიქრობდა ნიკიტა. უცბათ ლაპარაკი და რღვაც ჩოჩოლი მოესმა.

— ეექიმი, ექიმი მოდის, ამბობდენ ავადმყოფები.

ექიმი მიუახლოვდა ნიკიტას და მხიარულათ მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჰა, როგორა ხარ? ძალე, სულ ძალე მორჩები და წახვალ საავადმყოფოდან.

— თქვენო ადმატებულებავ, ბავშვზე უნდა მეკითხა, სად არის?

— იმის დარდი ნუ გაქვს, ბავშვების თავშესაფარშია, ძალიან კარგათ არის.

— თქვენო ადმატებულებავ... სათხოვარი მაქვს თქვენთან... ბავშვი მე მინდა ვიშვილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ იშვილო? გაუკვირდა ექიმს.

— ჩემი ნაპოვნია, ალბათ დედის განგებაა, მე უნდა გავზარდო.

— შვილები არა გყავს, თუ რა არი!

— ორი შვილი მყავს სოფელში.

— მერე სომ გაგიმნელდება მცირამის შენახვა.

— არა, თქვენო აღძტებულობაკ. ბავშვიც ძალიან მომეჩვია.

ერთი თვის შემდეგ ნიკიტა ნაპოვნი გოგონათი თავის სოფელში მიეშვ'ავრებოდა.

კუდრაჭა.

(ნათარგმნი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფელდის-თავი.

ერ ისევ ალილო მაგონდებოდა, არც ცხადლივ და არც სიზმრათ არ მომშორებოდა მისი სსოვნა, რომ დედა სემმა დაიწყო ფუსფუსი და მზადება საახალწლოთ. ერთ დილას, მაძალი ახალი ნაუივლი იყო, დედამ გადასძახა მეზობლის ქვრივ ნინოს:

— ნინო, ნიიინო!..

— რა იყო, რააა... მოისმა ხმა ნინოს სახლიდან.

— გენაცვალე, ნინო, დღეს საახალწლო სამზადისი უნდა გამოვაცხო და ნურსად წასვალ, მიშველე ცომის მოზელას და დაკვრას.

— რატო გუშინვე არ ითხარ, ქალო! დღეს ჩვენებიანთა ვშველი და აბა როგორდა გაუმტეუნდეგულ საფარი გაიმართვეს და იქა აქვო. დიდი-დედა სადღაა, ქალო, ის ვერ გიშველიდა? მეძოკეითხა ისევ ნინო დედას.

დედამ რაღაც ანვენა ნინოს ტუჩით—ნინო მისდა.

— ძაშ მარტო დაკვრას მიშველე, გენაცვალე, ნინო, მოზელითი მე ოოვზელავ, შეეხვეწა დედა კიდევ ნინოს.

— კარგი, კარგი, უპასუხა ნინომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ დაიწყო მზადება. მოვიდა შინ, გამოტეხა ფქვილი, შემოდგა ჰურის წელის ქვაბი და მალე გულ-სიფარ გადაგდებულმა დაიწყო ცომის მზადება. მეც, რაც შემეძლო გშველოდი. შეშა შემომქონდა და ცეცხლს ვმუეაითობდი გამეძლიერებინა.

— ე მაგრე, გენაცვალე, ე მაგრე, მაძიგურგულა დედამ. მიშველე და მე კიდე საახალწო კვერას დაგიკერამ.

კვერის დაკერამ უფრო გამახალისა და მთელი დღე დედას არ მოვცორებიეარ. ნინოს გაეთავებინა მეზობლიანთას საქმე, გადმოვიდა ჩვენსა საშველათ.

— აბა, ქალო, მზათა ხარ? ჰკითხა ნინომ დედას.

— მზათა ვარ, ნინო, მზათ. მიუგო დედამ.

დაიწყეს ცხობა. ჯერ ბასილა დაუკრეს მამა ჩემს, როგორც სახლის უფროსს და მეკვლეს, ბასილა ნამდვილი მსგავსება იეო ადამიანისა. შემდეგ გამოსახეს ცომიდან რამდენიმე ღული, ეს იეო ზოთი, მხოლოთ სამგან, თუ ოთხგან ფაფსაჭა ჰქონდა გაჭრილი, მერმე ფურის ძუძუ, მსგავსება ძროხის ძუძუებისა, შემდეგ ორმო, ეს იეო მსგავსება სულადის სვავისა, ჰირი ჰქონდა განიერი და თავი თანდითანობით ვიწრო, შემდეგ სარი, მსგავსება ვაზის სადგომ სარისა, შემდეგ ხარის კვერა, მსგავსება თვალისა. ეს თვალი, როგორც ბებიამ მიამბო შემდეგში, იეო თვალი უფლისა, რომლის თვალსაც უნდა ეტრიალნა ყველა ქრისტიანეს სახლ-კარში. შემდეგ გამოსახეს და დაკერეს თონეში— ხმალი, ხანჯალი, თოფი, ლაკაშები და ნაზუქები. ყველა ნაპცხვარს ჰქონდა ჩატანებული ქიშმიში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ჭნიშნავდა მათ ტკბილათ დაბერებას. ჯერ ბოლოს ჩვენზე მიდგა, დაგვიკრეს კვერები ბაყშვებს, მაგრამ ცოტას გადარჩა სულ ეველანი თონეში არ ჩაცვინდით. დავიწყეთ თონეზე ჩოჩება და ეურება, აცა ვინი კვერა უფრო კარგა აბურთდებოდა და კოსტა იქნებოდა.

— საგანკებო რამ გამოვიდა ორმო, გასძახა დედამ მაძა-ჩემს, რომელიც ამ დროს სახლის დერეფანში იჯდა, სამკლეველის ტაბაკსა სთლიდა და აჭრელებდა,—კარგი ნახნავი გაქვს, უმაწვილო, და მოსავალიც კარგი გიჩანს, როგორც ორმოს ეტეობა.

— რა ურიგო ბიჭი მე ვარ, რო ცუდი მოსავალი მომივიდეს, ღიმილით უპასუხა მაძამ,—შენ ეს მითხარი, ქალბატონო, იარაღი როგორია: მტრის ბირი აქვს, თუ მოკეთისა.

— იარაღსაც არა უჭირს რა, მტერს არ უვარდება, მჭლე არც ერთი არ არი, მიუგო დედამ.—სარის კვერა და ფურის მუძუ კიდე ისეთი გახდნენ, რო აკის თვალით არ ინახვიან, საქონელიც მთლიანათ უნდა იყოს მომაგალში.

შარშან ვგონებ იარაღი ვერ იყო კარგი და ი საწყალი მეცხვარე რო მოგვიკლეს მთაში, იმაზე გადიარა, შეჭნიშნა მაძამ—როგორია, ქალო, დანარჩენი ნამცხვარი, ოჯახს-ხო მთლიანობა ეტეობა. შემოეკითხა კიდეგ მაძა ჩემი დედას.

ნინომ არ დაცალა დედას ბასუხი გაეცა მამაჩემის შეკითხვაზე და შესძახა მაძას: —შენ, უმაწვილო, რატო მაგრე ალიანს და ჩალიანს მოჭეკ, რატო სარს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არა ჰკითხულობ, ე დვინო რო ვედარაში ჩაგიხსენ. შენ ეასხიდათ ივიწყებ სარს, რა არი ნინომ ღვინო არ მომთხოვოსო, მაგრამ იცოდე უ სველ ხელადოთ ვერ გადამირჩები დღეს, ვირჩევნია ესლავე მოიტანო, რო ვადღეგრძელოთ შენი სასლის კეთილი ანგელოზი.

— ცხონდა შენი დედ-მამა, ნინო! რა კარგი მოიგონე. მეც, სწორე გითხრა, მაგ აზრისა ვიყავ, მიუგო მამამ ნინოს. დღეს ე მა დედა-კაცმა ვერ მოიცალა, ბავშვებიც მაგას უტრიალებენ და მე კიდე, რო მომკლა ლუკმას ვერ ავიღებ მარტო და ვარ ესე მშიერი მთელი ცისმარე დღეს.

ამ სიტყვებით მამა ჩემი გაემართა მარნისკენ და მალე ახალი ტაბაკით მოიტანა თონეზედ სელადა ღვინო, რამდენიმე ბური და ერთიც კარგი ნაჭერი ყველი. ნინოსაც ამოსდილი ჰქონდა რამდენიმე ცხელი ლავაში და შეუდგენ ნელ-ნელა საუბარს და ღვინის სმას. ნინოს, ცოტა არ იოს, ნუნუა უყვარდა და, თუ ცოტას დაიჭარბებდა ღიდინსაც ჩაურიავდა ხოლმე. ძალ-ძალ აგონებდა მამას:

— ემაწვილო, ეგ ერთი ხელადა სასლის კეთილის ანგელოზისა არი, ეველა წმიდას სსვა დასჭირდება. არ გაგიგია, ქიზიყელი კაცი რო ქალაქ წავიდა და აზამბარიდან უკან მობრუნდა, შინ საეველაწმიდო დამავიწყდაო! იცოდე, წავალ, მაგრამ უკანვე დავბრუნდები.

მამაჩემი ნინოსთან შეხუმრებული იო და სიტყვაზე ცალი უთხრა:

— ნინო, ქალავ! შე დასაქცევო, ერთხელ შენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვპატიჟე, შენი რქა-წითელი კარგათ ეკიდება ტუსს. რატო მაგრე ერთი სიმეხიერით მოგდის: „ჩვენსა კაბეო და თქვენსა ულაბეო“.

მამა სიცილით წაიდა მარნისკენ.

— მე კაბე, კუბე არ ვიცი, მიაუოლა ნინომ მამას. როცა მე ჩემ ალექსას დაკაკორწილებ, ძაძინ მიუურეთ, როგორი მასხინძელი ვიქნები.

მამამ მეორე სველი სელადაც მოიტანა და ცოტა ხნის შემდეგ გაიმართა ღიღინი: „ღვიინოროოსა ვსვამდი კასურსა, არც სულსა სწეინდა, არც გულსა“, და სხვა. ღიღინის ხმაზე, ნინოს გამოესმაურა თავის დერეფნიდან ბიმა-ჩემი, გაურილი მამის ძმა: შე დასაკარგაო, ნინო, რა ლექსები შამოგაკლდება-რა?! ამ სიტყვებით ბიმა-ჩემიც წამოვიდა ჩვენის თონისკენ. ბებიაც მოკიდა თონესთან რაკი დაინახა თავისი შვილები ერთათ და გაიმართა უფრო სიმხიარულე: მოიგონეს სადაც�-კი სადმე წმინდანი იყო და მათ სახელობაზე ეკლესია, ან სადმე ქვა-ქვაზე იდვა. ბიმა ჩემს და ძამა ჩემს ძრიელ უყვარდათ ერთმანეთი. ლაბარაკის დროს, ხშირათ ამბობდენ სიტყვის მასალათ: ჩვენ ძმები ცეცხლით გავიყარენით, განა გულითო. ბებიას ეს სიტყვები ძრიელ მოსწონდა, თუმცა ეოველთვის ძმების ნათქვამს ჩაუმატებდა ხოლმე: ზოგიც ჩემ რძლებსა ჭკითხეთო, მაგრამ რო კიდეც გვეკითხა რძლებისთვის, ისინიც სწორეთ იმასვე იტყოდენ, რასაც ძმები ამბობდენ და, თუ კითხვაზე მივარდებოდა და ბებიასაცა ეკითხამდით: „ბები, რათა ხარ გაჯავრებული რძლებზეო“ ის ამაზედ ვერაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიპასუხებდათ. შეიძლება ეთქვა: „ადათია და წესი“. დედა ჩემი სმაში არ გაერია, რადგან ჭსედავდა, რო ნინო არც ერთ სადღეგრძელოს არ იელებდა და ეშინოდა ნამცხვარი არ გაჭფუშებოდა. მამა ჩემი, განძრახს, ზოგიერთ სადღეგრძელოს არ აწვდიდა ნინოს, როგორც მანდილოსანს, ღვინოს არ დასჯაბნოსო, მაგრამ ნინო თითონ ძრიელ ფრთხილობდა არ დაეკლო სადღეგრძელო, ეოფელ ამისთანა შეძახვეკაში შეჭნიშნავდა ხოლმე მამა ჩემს: „ეშაწვილო, მე სადღეგრძელო მაკლიაო“, აი თუნდა ის შენ რო სთქვი: „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ბულბული, როძელსაც სიმუდამოთ დაუბუნია და ჭკალობს საწუალი კაცის ბაღშიო, რომლის გალობაზედაც საწუალი კაცი ეძლეკა რადაც ოცნებებს და თავისი სიდარიბე აეწუალებაო“. და კიდეგ ჸსვები... დაჭსადა დედამ თონიდან ნამცხვარი. შეაბარგა შინ ეველაფერი. მოქეიფენიც დაიშალენ. მეორე დღე წელდის-თავის წინა დღე იეო, მამა ჩემი დილიდანვე წასული იეო ქალაქში სილის მოსატანათ. ბინდისას მოვიდა დატვირთული ცხენით. სიხარულით მივეგებენით ბავშვები. ჩამოვსადეთ ცხენიდან სურჯინი. მამა ცოტა შეზარხოშებული იეო. ამოიღო სურჯინიდან რამდენიმე მუჭა თხილი და წაბლი, გადმოგვიეარა ბავშვებს. აბა ეურთაგლეჯაო, ეურთაგლეჯაში სამი, თუ ოთხი ჩემი ბიძაშვილებიც დაეტანნენ და გაჩნდა ერთი ზედაგორა. წამოვკრიფეთ ბავშვებმა სილი, დაეწყეთ გოჯებივით ენაწაენწი. სიხარულით ვეღოდებოდი გოხინაეის გაკეთებას. იენებოდა ასე გლეხი კაცის ვახშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობა, დედამ გადასძახა ბიძა ჩემს: ჩემო მაზლო, შენ-ძმასა სძინავს და ერთი სამუგუზლეს შეტანა გვიშველე. ბიძა ჩემიც მაშინათვე გადმოვიდა, დაუძახა ნინოს ბიჭს ალექსას, რამდენსამე სხვა მეზობლებსაც და შეიმოიტანეს შინ უშველებელი კუნძი. დედამ მადლობა გადუხადა მეზობლებს შრომისთვის და დაჭირდა სამაგიერო ჰატივისცემას. ხშირათ საახალწლო მუგუზალი იმოტელა იქნებოდა ხოლმე, რომ სასლში სარებით ან კაძეჩებით შეეთრევედით ხოლმე. მოუკიდეთ კუნძს ცეცხლი, დაუწყეთ ბავშვებმა გაძლიერება ბუსარს და კუნძიც გაძლიერდა. როდესაც ცეცხლი არ ენთება ქიზიეში იციან, შემდეგი ლექსით მიჭმართავენ ხოლმე ცეცხლს.

გაძრიელდი, ბუსარო,
წადი ბრანძოს უთსარო...

ჩქარა, ჩქარა...

დედამ დაიწყო ნიკეზის რჩევა და წვრილათ დაჭრა. ბებიამაც შემოიხსა ჩემი ჰატარა ძმა და და მუსლის ძირას და ჭშველოდა დედას. საძინლათ გვიეგვარდა ბავშვებს ბებია, რადგან იმას შუადამ ცალი ხელი თავის კიდობანში ჭქონდა და ჩვენ, თაგვებივით, სულ კიდობანს შეგტრიალდებით, თუნდა ბებიაც შინ არ ეოფილიეო. გარდა ამისა ბებია ჩვენი მეგარეველი იეო, თუ დედას ან მამას გავაჯავრებდით რაზედმე. ხშირათ დიდი შეტაკებაც მოგვდიოდა და-ძმათ იმაზედ, რომ არა მე უნდა დავწვე „ბაბულასთან“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა მეო. ბებიას ბავშვები „ბაბულას“ ვეძახდნ. ~~ბებია~~ ბებია, ხშირათ უფრო ხალთრობით, არც ერთს არ გვა-წუენინებდა და სუფეელას გვაწუენდა თავისთან და ამით თავდებოდა ჩვენი ომი. ნიგოზი დავარჩიეთ. შემდეგ დედამ მოიტანა თაფლი და შემოდგა თანგი-რა ქვაბით ცეცხლზე. ძრიელ მოგვალხინა ბავშვები თაფლის დანახვამ. დედა და ბებია ჯერით გვალო-კებდენ თითებს: ამ თითების ლოკვაში, ჩემ ბატარა და-ძმას დაემინათ ბებიას მუხლზე.

გ. დ. ჭრელაშვილი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კითხვებზე პასუხი.

„ჯეჯილის“ მე XII ნომერში მოთავსებულ კითხვებზე შემდეგი პასუხი მივიღეთ:

1) შვიდი წლის ირინე გოგნიაშვილისაგან: „მე მიყვარს გრძელი მოთხრობები, სჯობია ერთ ნომერში იყოს მოთავსებული. მოთხრობები და ზღაპრები უფრო მიყვარს და სამწუხარო მირჩევნია. უფრო მომეწონა „პატარა ჯარის კაცი“, „რეზო ალდგომას უსაჩუქროთ დარჩა“, სამეცნიერო ამბები არ მომწონს. „ნაკადულში“ რომ იყო „მინიონა“ იმისთანა მინდა რომ დაიბეჭდოს მომავალ წელს, რამდენჯერმე „პატარა ჯარის კაცი“ გადავიკითხე, მე მაქვს ორი ფრანგელის სათამაშო, ერთი ასაშენებელი, მეორე წერილათ დაჭრილი ქალალდები. წიგნების კითხვა მიყვარს, თელავში ვცხოვრობ, მამა არა მყავს. ოჯახში ვართ: მე, ჩემი და, დედა და დეიდა, ვსწავლობ თელავის წ.-კ. გ. ს. სკოლაში, მყავს ერთი ამხანაგი, რომელიც, როცა ჩემთან მოდის, მაშინ ვკითხულობთ ერთათ „ჯეჯილს“.

ირინე გოგნიაშვილი.

—

2) ჭიათურის საქალებო სასწავლებლის მოწაფეებისაგან: ბატონო რედაქტორო! წავიკითხეთ „ჯეჯილში“ თქვენი შეკითხვები და სიამოვნებით გიპასუხებთ მათზე: ჩვენ ვრცელი მოთხრობები მოგვწონს. მოთხრობა გვირჩევნია ერთ წიგნში იყოს მოთავსებული, რადგანაც შემდეგი ნომრის გამოსვლამდის, გვავიწყდება ხოლმე მოთხრობის შინაარსი. მოგვწონს დიდების ცხოვრებიდან ნამდვილი ამბავი, სამწუხარო მოთხრობები უფრო გვიყვარს. მოგვეწონა „პატარა გმირი“ ოქტომბრის № 10, იმიტომ რომ მან თავი გასწირა სამშობლოსათვის. მოგვწონს ისეთი მოთხრობები, სადაც აწერილია მოგზაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა. მომავალ წლის „ჯეჯილში“ ჩვენ გვირჩევნია, ეროვ-
ეწეროს ომიანობის ამბები. ყველაზედ ეფრო მოგვეწონა „გუ-
ლადი და კეთილი ქალი“, როშელსაც ერქვა მისს ვინდერბო-
ტი. წიგნების კითხვა ძალიან გვიყვარს. მოგვწონს „ბიძია
თომას ქოხი“, „დედა შვილის თავ-გადასავალი“, „პატარა
ლორდის თავ-გადასავალი“, „ლედი.ჯენი“, „უსახლკარო“ და
სხვა. ვსწავლობთ ჩვენ ჭიათურის საქალებო სასწავლებელში.

ჩვენი სახელი და გვარი: თეკლე აბაშიძე, მინადორა ბახი-
ლაგა, რიმა ბონკაძე, ალექსანდრა ანჯაფარიძე, რიმა გაშიძე, მარიამ
კაფურინდაშვილი, ტატიანა გეგეჭკორი, თამარა იოსელიანი, მარკალი-
ტა კაპანაძე, ანასტასია ბუდაგანოვა, ოდდა ნიორაძე, შუშანიკა
ორჯონიკიძე, იამარა ხახიშვილი, ნინო, ეკატერინე, ქეთევნი, ია-
ლიტა და ალექსანდრა წერეთლები, ნატაშა შაგერდოვი.

ჩვენი მისამართი: ჭიათურა, საქალებო სასწავლებელის
შეოთხე განყოფილების მოწაფეები.

გამოცანები.

ახალ წლის დღეს დავჯექ მეფეთ,
ერთს წელიწადს მომცეს ვადა,
ყველას მოსწონს ეს ამბავი,
თითქმის მეც კი გამეხარდა,
თითო ტყავი შემომაძრეს
რაც კი ღმერთმა დღე დამბადა,
მაგრამ მაინც არ გავშიშვლდი,
კიდევ მქონდა ლოტა-მატა,
პანღური მაშინ მიპირეს,
ბადალი რომ გამოცხადდა.

—

ერთი ხეა, რა ხეა უმიწოთ რომ იზრდებაო?
დათესვა, დარგვა და მყნობა არას დროს არ სჭირდებაო.

—

ნეტავ ის კაცი ვინ არის,
ებრძვის შეშას და ცეცხლსაო,
ისევ საცეცხლე გამოჰყავს
იმის გამოცდილს ხელსაო,
წყალსაცა ხმარობს, მაგრამა
არ იბანს პირს და ხელსაო.
ყოველთვის შავათ მინახავს,
როცა მოსულა ჩვენსაო.

შარადა

ნახევარი—სახელია
ცრუ პენტელა ნადირისა,
დანარჩენი—რუსთ ენაზე
გამოთქმაა უარისა;
მთელი სიტყვა დამხმარია
ჩემი ჩუმის საუბრისა,
როდესაც გამოთქმა მინდა
ჩემი დარდის და ჭირისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-XI ნომრისა:

გამოცანები: გველი, ბულბული, წინდის ჩხირები.

შარადა: ჩაფარი.

რებუსი: კაცი რომ ნავში იჯდეს—მენავეს არ უნდა ეჩხუბებოდესო.

მე-XII ნომრისა:

გამოცანები: ვარდი, მეთევზე, ბარი.

ზმა: გორი, მცხეთა, არაგვი.

რებუსი: მომილოცნია, ბავშვებო, დღესასწაული შობისა, კურთხეულ იყოს ქრისტესგან სიცოცხლე შენის ყრმობისა.

რებუსი გამოიცნეს პირველათ, ქალაქის ხელის მომწერმა ლენკო მუსხელაშვილმა და ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებმა: 1) ალექსანდრე ალავიძემ, ბაქოს ქართული სკოლის მეოთხე განყოფილების მოწაფემ და 2) თამარა მათიაშვილმა ქიათურის საქალებო სკოლის მოწაფემ და ამათ გაეგზავნათ დაპირებული საჩუქარი „ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა“ (თომა ედისონი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერილი რედაქტორთან

(„ჯეჯილის“ ოცდა ხუთი წლის შესრულების გამო)

თი წლისა ვიყავი, როდესაც ცხონებულმა დედა-ჩემმა ახლად გამოსული „ჯეჯილის“ ნომერი მომიტანა საჩუქრათ და მითხრა: — აი, შვილო, საყმაწვილო ჟურნალი გამოვიდა, აბა წაიკითხე და თუ მოგეწონება, გამოვიწერ წლიურათ და შენი საკუთარი ჟურნალი გექნებაო.

სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე გახლდით, თუმცა პირველი კლასის შეგირდი, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მაშინ ქართული ენა სულ სხვანაირათ იყო დაყენებული სკოლაში და ჩინებულათ ვკითხულობდი, მეტადრე ლექსებს. წიგნი ერთ საათში სულ გადავიკითხე და როცა მამა ჩემი სამსახურიდან მოვიდა სიხარულით მივეგებე და გადუშალე ჩემი ძვირფასი საჩუქარი და თან ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ყველაზედ მეტათ მომეწონა იმ ლექსთა შუა, რომლებიც ბლომათ იყვნენ იმ ნომერში, დიდის პაფოსით წაუკითხე.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ყვავისო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბობენ თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ დაუდგამს
და ერს თვისთა ცრემლთა დენით
ტბა კარვათ ზედ გადუხურაკს და სხ.

მამა ჩემს თვალებზედ ცრემლები წამოადგა, არ ვიცი ლექსის მშვენიერებით, თუ ჩემი თავმომწონე კითხვით და თავზედ ლმობიერათ ხელი გადამისვა და მითხრა: — ყოჩაღ, ბიჭო, ჩინებულათ კითხულობო და ჩინებული ლექსიც დაუწერია „ჯეჯილისთვის“ ჩვენ მირონცხებულ ილიასო.

მერე მთელი ნომერი გადაფურცლა და დაუმატა: — ხედავ ამ პატარა ჟურნალში რამდენ დიდს და სახელოვანს მიუღია მონაწილეობაო! ილია, აკაკი, რაფაელ, ვახტანგი და სხვანი ჩვენი მწერალნი მთლათ აქ შეკრეფილანო, უთუოთ საყმაწვილო ჟურნალს ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენო.

— აბა, მაშ შენც გაუფრთხილდი ამ საუნჯეს და წაკითხვის შემდეგ ფრთხილათ მოათავსე ჩემი შკაფის ერთ ერთ უჯრაში, რომელსაც მე შენთვის დღესვე გავანთავისუფლებო.

მეც იმ დღიდან დიდად უფთხილდებოდი და ყვლიდი „ჯეჯილის“ ნომრებს, როგორც ჩემ ძვირფასს საკუთრებას. მთელი ექვსი წელიწადი. შემდეგ რამდენიმე წელიწადი თვალყური ალარ მიდევნებია ამ გამოცემისთვის, რადგან სწავლა უმფროს კლასებში გამირთულდა და მერე რუსეთში წასვლაც დამჭირდა.

დღეს ოცდა თხუთმეტი წლის კაცი ვარ, ორი მარგალიტივით შვილი მყავს: ქალი — თეკლე ათის წლისა და ვაჟი — ვახტანგი რვისა და ესენი განაგრძობენ „ჯეჯილის“ კითხვას.

მე შევიძინე „ჯეჯილის“ იმ წლის ნომრებიც, რომელნიც ჩემი შვილების აღზრდამდინ ამცდნენ და ჩემის გოგონას თეკლეს დახმარებით ამ ცოტა ხანში მთელი ოც და ოთხის წლის და ნახევრის გამოცემა დავანაწილე ნახევარ ნახევარ წლის წიგნებათ და შევადგინე დაწერილებითი კატალოგი მათი შინაარსისა. ბელეტრისტიკა მოვაქციე ცალკე, ჰოგზიას თავისი ალაგი აღმოუჩინე, ისტორიას ცალკე, ბუნების მეტყველებას ცალკე, არაკს და გამოცანებს ცალკე და საერთოთ დიდი მასალა შესდგა ბავშვთა საკითხი ბიბლიოთეკისა. მერე დავაზმინე ეს ორმოცდა რვა წიგნი ლამაზის ყდებით და დავა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი რედაქტორთან.

ლაგე იმ ლამაზ შკაფში, რომელიც ჩემს ასულს უძღვენ თავის დაბადების ათი წლის შესრულების დღეს.

დღეიდან ჩემი თეკლე და ვახტანგი გაგრძელებენ „ჯეჯილის“ კითხვას და დაცვას თავიანთ მომავალის თაობისთვის, ამ სალაროს გაფართოვებას და ყოველთვის მადლობით და სიყვარულით მოიხსენებენ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელისას, რომელმაც მთელი ოცდა ხუთი წლის განმამავლობაში ასაზრდოვა გონებრივათ რამდენიმე თაობა ამ ჩინებული საზრდოთი და სთხოვენ უფალს კვლავ დიდხანს, დიდხანს არ მოჰკლებოდეთ ჩვენ ბავშვებს თქვენი დედობრივი მზრუნველობა „ჯეჯილის“ გამოცემის საშუალებით.

ორი თაობის წარმომადგენელნი მკითხველნი
„ჯეჯილისა“ მამა თავის შვილებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწავლა წინსვლის ხიდია.

ამთრის ცივი ქარი ქრის,
ცა ქვითინებს, ცრემლებს ღვრის.
ტყეს არ ამკობს ფოთოლი,
სცივა, კვნესის ობოლი.
მთა-ბარს თოვლი ჰფენია,
ძალზე მოუწყენია.

—

კოლა ქოხის ზღურბლზე ზის,
იზეპირებს გაკვეთილს;
მაგრამ, როგორც ეტყობა,
ერთგულათ ვერ ეპყრობა.
კოლა! კარგათ ისწავლე:
ასოების სიმრავლე.

—

ნუ გაგიტეხს პაწა გულს...
არ ჩამორჩე ტოლთ კრებულს!
ხომ კი ხედავ მამაშენს,
არ აძლევენ განაჩენს.
ყველას მონა-მორჩილი,
დადის წელში მოხრილი!

—

შენ როს ამას შეიგნებ,
გზას თვითონვე გაიგნებ.
გაეცნობი ქვეყნის პირს,
დაიძახებ: სწავლა მსურს!
შვილო! სწავლა დიდია:
იგი წინსვლის ხიდია!

ვ. რუხაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულბული და ძერა.

ცხოვრობდა ერთს ტყეში ბულბული გაიკეთა თხილის ბუჩქზედ ბუდე და გამოჩეკა ბარტყები. დღისით იქერდა ბუზებს, პეპელებს, სხვა და სხვა ჭია-ღუებს და ამით ჭკვებავდა თავის შვილებს. პაწია ბარტყები მხიარულათ შესწრიპინებდენ, როდესაც ბულბულს მოჰქონდა საქმელი და, რა დაძღებოდენ, წყნარათ სთვლემდენ რბილს ბუდეში. ბულბულიც სთვლემდა იმათთან ერთად, ისვენებდა დღიური ჯაფით მოღლილი. საღამოობით ერთხელ კიდევ აქმევდა თავის ბარტყებს, დაჯდებოდა იქვე ბუდის ახლო თხილის ბუჩქნარში და გალობდა. მის გალობას ისმენდენ პატარა ბარტყები და ტყე. საღამოობით, როდესაც მზე ჩაესვენებოდა და მისი უკანასკნელი ჩამავალი სხივები მკრთალათ ანათებდენ არე-მარეს, მაშინ ტყე მიყუჩდებოდა, მის სიღრმეს ნელ-ნელა ბინდ-ბუნდი მოიცავდა და ძილისთვის იწვევდა მიწყნარებულ ტყის მიდამოს.

და აი ამ მყუდროებით მოცულს საღამოს გაისმოდა ბულბულის საამური სტვენა. ამ სტვენით მოჯადოებული ჩამავალი მზის სხივები ახანებდა ჩასვლას, მოჯადოებულებივით იდგენ ხენი და ბუჩქნი, არ იძროდენ; სამგიეროთ ნათელი მთვარე ეშურებოდა ცის შუა ადგილისკენ, რომ უფრო ადვილათ ჩაეხედნა ტყის სიღრმეში თვისი მოალერსე სხივებით, საიდანაც უფრო მკაფიოთ ისმოდა ბულბულის საამური სტვენა. მაგრამ ყველას ერთნაირათ არ მოსწონდა ბულბულის გალობა.

იქვე, თხილის ბუჩქნარის ახლოს, იდგა მაღალი ნეკერჩხალის ხე, რომლის წვერზედ შავათ მოსჩანდა ვეებერთელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშნო ბუდე. ამ ბუდეში სცხოვრობდა ბებერი ძერა. იმასაც ჰყავდა ბარტყები, რომლებიც მთელი დღე უსიამოვნოთ ჭყრიპინობდენ, განივრათ აღებდენ ყვითელ ყბებს, და მოუთმენლათ ელოდენ თავის დედას, ბებერ ძერას, რომელიც, მუდამ მოღუშული, უზიდავდა ბარტყებს საჭმელს: წვრილ ჩიტებს, თაგვებს, ბაზია ბუკებს, წიწილებს, რომელთაც სოფელში იტაცებდა; ყველა ამას ხარბათ სჭამდენ გაუმაძღარი ბარტყები. შვილებს რომ დააძღობდა, თვითონაც მოხერხებულათ მოიკალათებდა ბუდეში დასაძინებლათ და სიამოვნებით ოცნებობდა, რომ აი ეხლა ტკბილათ ჩაიძინებს და ეძინება მთელ ღამეს, ვიდრე არ გააღვიძებს ტყის დილის ხმაურობა და მშიერი ბარტყების ჭყიპინი.

მაგრამ ამ დროს გაისმოდა ბულბულის სტვენა. ძერას არ უყვარდა ბულბულის გალობა. მუდამ დაღვრემილი და ბოროტი ძერა პირქუშად დაფრინავდა ტყესა და მინდორში და ვერ მიმხვდარიყო—რისთვის გალობენ სხვა ფრინველები. ნანადირევით გახალისებული და გამარჯვებული ძერა იშვიათათ გამოჰხატავდა ხოლმე თვის კმაყოფილებას უსიამოვნო ყვირილით: კრლი კრლი...

მაგრამ ეს ხომ გალობა არ იყო და, ამასთან ყვიროდა დღისით და არა ღამე. მეტათ აბრაზებდა ძერას ბულბულის გალობა. ის გალობდა საღამოობით ისე დიდხანს და ხმა მაღლა, რომ ბებერი მტაცებელი მთელი ღამეობით თვალს ვერ ხუჭავდა. აკამდინაკა ამოიყრიდა ბულბულის ჯავრს თვისი ბასრი ბრუყალებით და წვეტიანი ნისკარტით, ისე როგორც სხვა თავის მტრებზედ; მაგრამ ბულბულის ბუდე მეტათ მიმალულ ადგილას იყო, ისე რომ ძერა ვერ მიუდგებოდა.

მშვენიერ მთვარიან ღამეს, როდესაც ბებერი ძერა, ბულბულის გალობით გაბოროტებული, მიფრინდა თხილის ბუჩქთან, სადაც სცხოვრობდა ბულბული, მრისხანეთ დასჩხავლა:

— ყური მიგდე, მეზობელო. შენ შენი სულელური სტვენით მე ძილს მიფრთხობ. მე ეს არ მომწონს. თუ არ მოიშალი ღამ-ღამეობით სტვენას, დაგიჭერ და მოგკლავ.

ბულბულს შიშის ქრუანტელმა დაუარა ამ მუქარისაგან. ის დიდი ხანია შიშით გასცქეროდა მეზობლის ბუდეს, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც შავათ მოსჩანდა ნეკერჩხლის წვერზედ, როგორათაც ძველი თილისმანი ნანგრევი კოშკი. იგი სიხარულით დასტოვებდა ამ თხილის ბუჩქს, მაგრამ მეტად ენანებოდა, რადგან ეს ადგილი მარჯვე იყო. ბულბულმა იცოდა, რომ ძერა ბოროტია, მკაცრი, მძლავრი, მის გაჯავრება საშიშია და თუ მოინდომა სიცოცხლეს მოუსპობს. ეს მისთვის აღვილია. ამიტომ ბულბული გაჩუმდა და მარტყუებთან ერთათ გაინაბა ბუდეში. შვილებისა უფრო ეფიქრებოდა,— თავისი თავი არც კი ახსოვდა.

მეორე დღეს, როდესაც დილით ძერა წავიდა თავგვებისა და ჩიტების დასაჭერათ, ბულბულიც მაშინ გაფრინდა საქმლის საშოვრათ. შეშინებული იქვე ახლოს დაფრინავდა—შორს წასვლა ვერ გაბედა, რადგანაც ახსოვდა ძერას მუქარა. ამასთანავე გადასწყვიტა აღარ ეგალობა. მოწყენილი დაბრუნდა სახლში, დაანაყრა თავის მარტყუები. საღამოთი კი ჩაჯდა ბუდეში, გაინაბა და მზრუნველობით ფრთები გადააფარა თავის შვილებს.

ბულბულს ესმოდა, რანაირათ დაბრუნდა მინდვრიდან ძერა, რა წრიპინით დახვდენ დამშეული მარტყუები, რა ხარბათ ყლაპავდენ მოტანილს საქმელს, რანაირათ მოეწყო ბებერი, მკაცრი, მეზობელი ბუდეში და დასაძინებლათ გაემზადა.

მზე უკვე ჩავიდა, ბინდმა მოიცვა ტყე! რადაც შრიალი ისმოდა ბუჩქებსა და ხეებს შუა, ბულბული კი გაჩუმებულიყო. იჯდა მოწყენილი ბუდეში და გული საშინლათ უძგერდა. ტყეში სრული დუმილია. ცის სივრცეზედ ვარსკვლავები ამოციმციმდენ; მთვარემ ოქროს ფრთა ამოაშუქა და, თითქოს რაღაცის მოლოდინში, გაჰერდა ტყის ზევით; ბულბული კი სდუმდა. აქა-იქ ჩრდილები ამოძრავდენ, თითქოს გადაეხლართენ მთვარის შუქს, ღამეც უჩინრათ უახლოვდებოდა ტყის არე-მარეს. საამურ სუნს ჰფენდენ ყვავილები. წყლის ცვარები საამურათ ეკაკუნებოდენ ხეებს და ბალახებს. ყველაფერი სდუმდა, სმენათ იყო გადაქცეული. არე-მარე თითქოს ჩურჩულით ემუდარებოდა:

„იგალობე, იგალობე, იგალობე“...

ბულბული კი გაჩუმებულიყო.

სიმღერა გულს უხუთავდა, საშინლათ უნდოდა ეგალობნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან დახუქავდა, ხან აახელდა თვალებს, მთლათ თრთოლდა, სული ეგუბებოდა ყელში მობჯენილი ხმებიო. მაგრამ მას არ ავიწყდებოდა ძერას საშინელი მუქარა — მთელი ღამე გაზუმბული იტანჯებოდა. ბებერ ძერას კი ტკბილათ ეძინა. გათენებისას რომ გაიღვიძა, გაისწორა ფრთები, დაიბერტყა ნამი, აფრინდა მაღლა და სიმოვნებით დაჰზედა ტყესა. იგი მეტათ კმაყოფილი იყო. მის მუქარით შეშინებული ბულბული აღარ გალობდა; მზე ნათლათ აშუქებდა, დავლის შოვნაც ადვილი იყო. მთლათ აღფრთოვანებულმა ძერამ მხეცური სიხარულით ღაიყვირა: კრლი... კრლი... და გაფრინდა მინდვრისკენ.

ორი ღამე სდუმდა ბულბული ძერის მუქარით შეძრწუნებული. ტყეილათ სდუმდა ტყე ორი ღამე ბულბულის გალობის მოლოდინში. ბულბული არ გალობდა. ამიტომ თითქოს მთვარეც მოწყენით აშუქებდა, სდუმდენ ხეები, აფრქვევდენ ცივ ნამთა ცრემლებს გადარდიანებული ყვავილები და ბალახები. ყველას ენატრებოდა ბულბულის სტვენა. უამისოთ ღამეც მოწყენით ეჩვენებოდათ. მაგრამ ყველაზე ძრიელ სწყუროდა გალობა თვითონ ბულბულს. იგი ნაღვლობდა, იტანჯებოდა, უგულოთ იქერდა მწერებს, ხშირათ ბრუნდებოდა სახლში ხელ-ცარიელი და თითქოს არც თავის მშიერ ბარტყების წრიპინი ესმოდა. საღამოობით სიმღერის სურვილს სასიამოვნო ქრუანტელი უვლიდა ტანში. დაჯდებოდა იმ ტოტზედ, რომელზედაც ჩვეულებრივ იჯდა ხოლმე გალობის დროს. მზად იყო დაეწყო სტვენა, მაგრამ ყელში რაღაც გბჯენებოდა, რაღაც აჩერებდა. შიში და გალობის წყურვილი ებრძოდენ ერთმანეთს, მაგრამ შიში სძლევდა. ბულბული გრძნობდა — მეტი ღონე ვეღარ შესწევდა ასეთი სიჩუმე გაენგრძნო! დადგა მესამე ღამე. მზე ჩაესვენა! ბინდმა მოიცვა დედამიწა. ბადრი მთვარე ამოცურდა ცაზე. ყველაფერი შეიცვალა, რაღაც საიდუმლოება და სიმშვენიერე მოეფინა არეგარეს. ხეები მოსჩანდენ რაღაც გვირებათ, ძვირფას ვერცხლის ჯავშან'ში გამოწყობილნი. თავისი მძლავრი ხელები აღეტყორთათ ზეცისაკენ, თითებზედ უბრეყვრიალებდათ ოქროს ბეჭედები. თითქოს ეკლიანი ბუჩქებიც ამოძრავებულიყვენ, იწევდენ მთვარის შუქისკენ. მდინარეზედ მკრთალათ ირხეოდა ბურუსი. სრულ სიჩუმეს მისცემოდენ შევერცხლილი ლერწები. ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველისფერი სდუმდა გარშემო; ყველა ბულბულის გალობის მოლოდინში იყო. და აი კიდეც ვაისმა ბულბულის საამური სტვენა.

ჯერ ნელა, მოკრძალებით, მერე უფრო გაბედულათ, ხმა-მაღლა...

როდესაც მთვარის სხივებმა ცერათ მიაშუქეს თხილის ბუჩქს, ტყის სიღრმეში გაჰფანტეს თვისი ოქროსფერი შუქი, ყვავილებმა საამური სურნელობა მოჰფინეს გარშემო, სიჩუმემ მოიცვა ტყე, თითქოს ყოველივე ხე, ყოველივე ბუჩქი, ყოველისფერი ტყეში მუდარით მისჩერებოდა თხილის ბუჩქს, ბულბულს დაეხუჭა თვალები და დამღერდა. მას არ შეეძლო არ ეგალობნა—გული გაუსქდებოდა ამ ხმებისაგან. დაივიწყა ყოველისფერი, დაივიწყა ბოროტი ძერა, მისი მუქარა, დაიწყო გალობა. ეშხიანათ, მხიარულათ, ისე როგორათაც არასოდეს არ ეგალობნა.

იგი უგალობდა ზაფხულის ღამის სიმშვენიერეს, მყუდრო მინდვრებს, ნათელ მდინარეს, მძინარე ტყეს, უგალობდა ლამაზ ყვავილებს, ვარსკვლავებს, მშვენიერ მთვარეს. გალობდა იმაზედ—თუ რა მშვენიერებაა სიცოცხლე ამისთანა ლამაზ ღამეს, როდესაც ბედნიერება სულს გიხსნის, სიყვარულით სავსე გული ეტრფის თავ ელ ქვეყანას,—ცას, დედა-მიწას, ყოველისფერს...

ტყუილათ ეჩხლობდა ბებერი ძერა თავის ბუდეში, მრისხანეთ აპარტყუნებდა ფრთებს, გაბოროტებული აკრაჭუნებდა ნისკარტს—ბულბულს ეს არ ესმოდა. უკვე მთვარეს ფერი ეკარგებოდა, მკრთალი შუქი ამობრწყინდა აღმოსავლეთიდან, განთიადით შეშინებული ღამე სადღაც მიეშურებოდა, ბულბული კი განთიადსაც ისეთივე ეშხით უგალობდა როგორათაც ღამის სიმშვენიერეს. მხოლოდ მზის ამოსვლისას ჩაჩუმდა ბულბული.

ბებერ ძერას არ ეძინა მთელი ღამე. იგი მთლათ თრთოდა სიკაპასით. გადასწყვიტა დაეღუპა ბულბული. დაუწყო დევნა, ზვერა, როდესაც იგი გამოფრინდებოდა თავის ბუდიდან საკმლის საშოვრათ. მაგრამ ბულბული გრძნობდა ამას, არ შორდებოდა თავის ბუდეს და, მოესმოდა თუ არა მტრის ფრთების ფრთხიალი, იმალებოდა თხილის ბუჩქის სიღრმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დილას, წვიმის შემდეგ, როდესაც ჰაერში ბევრი აუარებელი მწერი, ბულბული გაერთო ამ მწერების დევნაში, რომლებიც ამის პარტყებს ძრიელ უყვარდათ და შეუმჩნევლათ მოექცა ტყის პირას, სადაც იწყებოდა ტრიალი მინდორი. ძერა შორიდან ზვერავდა ბულბულს და როცა დრო იხელთა, დაეცა მას. ბულბულს რომ მოესმა ძერის ფრთების ფრთხიალი, აიხედა და ნახა, რომ ძერა ტყიდან მოფრინავდა. ბულბულს სხვა გზა არ დარჩენოდა, უნდა გაფრენილიყო მინდვრისაკენ. მოიკრიფა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და გაექანა მინდვრისკენ.

ბალახზედ მზინავდა ნამი, შორს მოსჩანდა ძველი სასაფლაო; არსად ბუჩქნარი, არსად-ხევი. ზევიდან კი ცხელი მზე და უსაზღვრო ცის სივრცე. ბულბულს ესმის უკანიდან ძერას ფრთების ფრთხიალი, ხედავს ბალახზედ მის ჩრდილს, ჰფიქრობს: აი ეს არის ძერა დამეწევა და ჩამიყრის თავის ბასრ ბრჭყალებს. მიჰქრის როგორც ისარი, ჰაერში ისმის იმის ფრთების ზუზუნი. კიდევ ცოტა — და ბულბულის სუსტი ფრთები უღონოთ ჩამოეშვება და მკაცრი ბრჭყალებით დასწვდება ძერა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბულბულმა ერთი კიდევ შეიფრთხიალა ზევით — და სიხარულით აღიესო მისი გული. იქვე, დაბლათ, გაეშალა თავისი მძლავრი ფრთები და მოფრინავდა არწივი. ის თითქოს ეკიდა ჰაერში და ისე სტკეებოდა დილის სიგრილით და მიხდვრის სივრცით.

ბულბული იცნობდა ამ დიდებულ ფრინველს, იცოდა რომ იგი იყო მძლავრი, სამართლიანი, — მოიკრიფა თავისი უკანასკნელი ძალ ღონე და გაექანა არწივისკენ.

— მიშველე, — შეჰკივლა მან, გემუდარები ჩემთვის კი არა, ჩემი შვილებისათვის.

არწივმა შემოჰკრა ფრთა-ფრთას და გაჩერდა ბულბულისა და ძერას შუა. ძერა შეჩერდა და ბრაზ-მორეული ერთ ადგილას დატრიალდა.

— შენ რისთვის სდევნი ბულბულს? — წყრომით ჰკითხა არწივმა ძერას.

— მე მინდა დავსაჯო იგი. ეგ მე მოსვენებას არ მაძლევს, არ ასრულებს თავის დაპირებას — უპასუხა ძერამ.

— ეს სიმართლეს ლაპარაკობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ძლიერო არწივო,—სთქვა ბულბულმა.—მაგრამ უნდა მომკლას მე იმისთვის, რომ საღამოობით ვგალობ. მაგან მე ამიკრძალა გალობა. მე არ ვგალობდი ორი ღამე, მაგრამ, მესამე ღამეს თავი ვეღარ შევიკავე და ვიგალობე. აი ამისათვის უნდა ჩემი მოკვლა.

არწივს სიბრაზით თვალები აენთო.

— ცრუე, მტაცებელო,—უთხრა მან ძერას. შენ სდევნი სუსტს, უმწეოს. შენი სიმკაცრე პირველი არ არის.

ფრთების მძლავრი ქნევით გაეშურა იგი ძერასკენ. დაიწყო ხანმოკლე ბრძოლა. ძერა ტყვიან-ნაკრავსავით დაეცა ბალახებზედ.

— გაფრინდი შენს შვილებისაკენ. ეხლა შენ ხელს ვეღარავინ მოგაკარებს,—სთქვა არწივმა და წყნარათ გასწია ზევით სივრცისკენ.

გვიან დაბრუნდა ბულბული ბუდეში. საცოდავათ წრიპინობდენ მისი დამშეული ბარტყები, მაგრამ ძერას ბარტყები კიდევ უფრო მეტათ გაჰკიოდენ. დილიდან მათ აოფეური ეჭამათ, განივრათ დაეღოთ თავიანთი ხარი პირები და საჭმელს თხოულობდენ. იმის მიუხედავათ, რომ ბულბული საშინლათ მოქანცული იყო, ის მაინც გულ-მოდგინეთ შეუდგა საქმეს. მზის ჩასვლამდის აგროვებდა ჭია-ღოლებს და უყოფდა შუაზედ თავის ბარტყებს და ძერას ბარტყებს საღამოს კი როდესაც ბარტყები დაძღა, დაჯდა თავის საყვარელ ტოტზედ და იწყო გალობა ნაზათ და მოწყენით, როგორადაც ოდერის ხოლმე დედა ბავშვს აკვანში. პატარა ბარტყებიც ჩაჩუქდენ ამ გალობაზედ. ასე იყო ყოველ დღე, ყოველ საღამოს.

დღისით ბულბული უზიდავდა ბარტყებს საჭმილს, საღამოობით კი გალობდა თხილის ტოტზედ. გალობდა ნაზათ გულსაკლავათ, რომელშიაც გამოიხატებოდა ჭაბულთა სუსტთა და ტანჯულთა სიბრალული და თანაგრძნობა

უსმენდენ მას ბუმბერაზი ხეები, პატარა ბუჩქები, წყნარი მდინარე, მიბნედილი ყვავილები და ულვრიდათ,—რად გალობდა ბულბული ასე გულსაკლავათ, მაგრამ წარმტაცათ ამ ნაზ, ნაღვლიან გალობაში იყო რაღაც ახალი, მოიხიბლავი გაუგებარი ძალა, რომელიც უფრო ღრმათ აფიქრებდა მთელ ტყეს.

ნინო ავალიანი.

(თარგმანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბავი ზესკნელისა.

წერილი პირველი

მცვივანი ვარსკვლავები.

ის არ გინახავთ უღრუბლო ღამეში კაშკაშ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კამარა! ვინ არ მოსულხართ აღტაცებაში ამ დიადი სა-მოთხიური სანახაობით?..

შესაქერი მოკრიალე ცას გაოცებული, გაშტერებული... მთლად შენს გონებას ზე-ცა იტაცებს და აღარ გინდა თვალი მოა-შორო ამ სულის და გულის გამხარებელ სურათს... თუ ცამ გაგიტაცა, მოგხიბლა, მაშ მომილოცავს... ადამიანი ხარ...

აბა შევხედოთ ცას აღმოსავლეთისკენ, აგერ **მრავალი და ხომლი** ვარსკვლავთა ჯგუფნი სადამდე ამოსულან; **სასწორი** სამხრეთისკენ გადახრილა. ახლა შენს მარცხნივ **გუთანს** უცქერე როგორ კალხზე შემდგარა!.. ზევით აიხედე: **ირმის ნახ-ტომი** და **ხარის ნავალი** ხედავ როგორ მთელი ცის გუმბათს სარტყელივით გაჰკვრია! ვიშ! რა მშვენიერი ხარ ბრწყინვა-ლე **მარეხო!**.. და აი! ამ დროს, როდესაც შენ დაგავიწყდა კ"დეც, რომ მიწიერი ცოდვის შვილი ხარ; როდესაც ანგე-ლოზის ფრთებს შეისხამ და ის ის არი შენც ვარსკვლავთა ფერხულში გინდა ჩაება, სწორედ ამ დროს უეცრივ, თით-ქოს ცას მოსწყდაო, წამოვიდა აგერ ღადღადა ვარსკვლავი და შუშხუნასავით ანთებული მოისწრაფის ჩვენი ცოდვილი დედა-მიწისაკენ, ჯერ ხო ცეცხლის ზოლი გაავლო და მერე კი წამსვე სადღაც უფსკრულს ჩაქრა. ამ გვარი მოვლენა ზოგ-ჯერ ერთი საათის განმავლობაში რამდენჯერმე გამეორდება ხოლმე.

ცრუმორწმუნე კაცმა ამ მოვლენით შეშინებულმა პირ-ჯვრის წერით სთქვა: „ვილაცის სანთელი ჩაქრა, ვიღაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვდა, მისი ვარსკვლავიც გაქრა... ე... ღმერთმა სასუფეველი დუმკვიდროს, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ჩვენც ეგ გვიწერია"...

მაგრამ ვინც ახლოთ იცნობს საქმის ვითარებას იმისთვის სრულებით ცხადია, რომ მცვივანი ვარსკვლავები არც ღვთის რისხვისაგან არის მოვლენილი და არც თუ რამე დამოკიდებულება აქვს ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლესთან, ეჰ! რას იზამთ, ადამიანი მაინც ასეთი, გადაჭარბებული აზრისაა თავის თავზე, იმას რო ჰკითხო მზეც მისთვის მზეობს, მისთვის ამოდის და ჩადის და რო იბადება, მისი ვარსკვლავიც ცაში ჩნდება...

დავანებოთ ადამიანს თავი, დეე რამდენიც უნდა იოცნებოს. კვალად შეეხეღოთ ცას, ეგ მომხიბლავი, მშვენივრათ მოციმციმე ბრეყვიალა ვარსკვლავები არას დროს არ ჩამოცვივიან ციდან,—ფიქრათაც არ მოსვლიათ. მცვივანა ვარსკვლავები რო უთქვამთ ეგ მხოლოდ გაზვიადებული სახელია, სიტყვის მასალა, ერთხელ და ერთხელ უშეცრობის დროს ცრუ მეცნიერთაგან დანათლებული.

ნამდვილათ კი სცვივიან უბრალო რამ **კოსმიური** სხეულები, არა ამ ქვეყნისა, რომელნიც დაძრწიან ზესკნელის უსაზღვრო სივრცეში (სამყაროში), ესენი არიან პატარ-პატარა ნამტვრევები, ნამსხვრევები რომელიმე **კომეტის კუდისა***) ეს კოსმიური სხეულები, ისე როგორც ჩვენი დედა-მიწა, გარს უვლიან, თავს ევლებიან მზეს და აი ამ დროს გზათ მავალნი ზოგჯერაც შეეფეთებიან ხოლმე ჩვენს დედა-მიწას—ხან უკან დაედევნებიან, როგორც ძერას ჩიტები, და ხან კი წინ ეჯახებიან. დედა-მიწა ტრიალის დროს მედგრათ არღვევს ხოლმე ამ წვრილმანების გუნდს და თანაც მათ თავისკენ იზიდავს, ისიც ხო ვიცით, რომ ჩვენს დედა-მიწას გარს ახვევია უზარმაზარის სივრცის ატმოსფერო, ჰავრის სართული 275 ვერსის სისქე მაინც, ჰო და როდესაც ეს „ცის ნატეხები" შემოესევიან ჩვენს ატმოსფერას, მაშინ დაეჯახებიან ხოლმე ჰაერს

*) მეცნიერებაში დღეს უკვე მეფობს ბრედიხინის თეორია. ამ თეორიით „მცვივანა ვარსკვლავები" წარმოსდგებიან რომელიმე კომეტის დამსხვრეულ კუდისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელის ძალით და სისწრაფით. მერე რა ხდება ამ ბჯა-ხების დროს?..

ამა გაფინეთ მაუდი-ან ხალიჩა და ზედ რამდენჯერ-მე თითი გაატარეთ, მაგრათ წაუსვეთ. ამ გლესისაგან თითი მა-შინათვე გაცხელდება და თუ რო ზედიზედ გაიმეორეთ, თითი ისე გახურდება, რომ აგტკივთ კიდეც. იგივე ემართება მცვი-ვანა ვარსკვლავსაც, რომელიც თვალის დახამხამების უმალ 30 ვერსის მანძილს გარბის და ამ წარმოუდგენელ სისწრაფის გამო ისეთის ძალით ეხახუნება, ეგლისება ჰაერს, რომ ცეცხ-ლის კვალს სტოვებს, იწვის, შუშხუნასავე ენთება დი აი. მაწინ იმ **ერთ-წამს** წაგაგეს მოკაშკაშე ვარსკვლავს. მართლაც და ზოგიერთა ისეთის ძალით აშუქებს, რომ იმ ერთ წამს სინათლით სჯობნის, სჭარბობს **ვენერასაც** და **იუპიტერსაც**...

„მცვივანა ვარსკვლავები მისდგეშიაც ვერ უწევენ დედა-მიწას და აი რატომ: როცა მოჰფრინავენ ალმაცერათ სჭრიან ჰაერს,— პირდაპირ არ ვარდებიან დედა-მიწაზე, მეო-რეც—ესა რამდენათაც ჰაერის სართული დედა-მიწაზე ახლოა, იმდენათ უფრო სქელია და გასარღვევათ ძნელი, ჰო და მე-ტის სიძლიერით ხურდება „ვარსკვლავი“, ეკიდება ცეცხლი,— ხოლო დამწვარი და მტვრათ ნაქცევი ანუ **გაზათ** (ოზხვ-რათ) გეეული ჰაერშივე ეფინება, თოვლით დაფარულ მაღალ მთების მწვერვალზე, სადაც ადამიანის ფეხი იშვიათათ ხვდება, ამიტომაც ხშირად პოულობენ სპეტაკ თოვლზე **რკინის მტვერს** არა ამ ქვეყნისას. ზოგჯერაც შეიძლება მოხდეს, რომ „მცვი-ვანა ვარსკლავი“ ჩვენი დედა-მიწის ატმოსფეროს საზღვრე-ბიდან სულაც გავიდეს, **გარესკნელს** გავარდეს.

მეცნიერთა აზრით ყოველ ცისმარე დღეს დედა-მიწის ატმოსფერაში გაივლიან ხოლმე 10—12 მილიონი „მცვივანა ვარსკვლავები“. ხოლო დღისით ვერა ვხედავთ მათ, ისევე როგორც არ სჩანან მზის სინათლით დაჩრდილულნი ცის მნა-თობნი.

ვარსკვლავთ მრიცხველთაგან ისიც გამოანგარიშებულია, რომ მთელ დედა-მიწის ზურგზე ყოველწლივ „მცვივანა ვარ-სკვლავები“ 146 მილიარდი ე. ი, ას ორმოცდაექვსი ათასი მილიონი ჩამოცვივა ხოლმე, ხოლო ვისაც გსურსთ დასტკბეთ ცის შუშხუნებით იცოდეთ რომ ყოველ წლივ მკათათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო რიცხვებში 28, 29, 30 და აგრეთვე 9 და 13 აგვისტოს და გიორგობისთვის 1 და 2 ცაში ნამდვილი დღესასწაულია, ილლიუმინაცია არის, გაჩირაღდებულია, სწორედ დასახელებულ რიცხვებში აუარებელი ვარსკვლავი სცვივა და უფროც თვალსაჩინონი არიან. ეს უცხო სანახაობა ნამდვილ ცეცხლის წვიმას მოგაგონებთ.

უფრო ხშირად „ვარსკვლავნი“ თითო-თითოთ, ზოგჯერ-კი მთელი გუნდი ათი-ათასობით წამოვლენ ხოლმე ნიაღვარივით. მეტადრე **პერსეიდები** და **ლეონიდები** პანტაპუნტით სცვივიან. მაგალითად 13 **ნოემბერს** მართლაც რო სანატრელია ამ საუცხოვო სურათის თვალით დანახვა.

ცის ამ გვარი ჩირაღდანი მეცნიერ ადამიანის თვალმა პირველათ იხილა ქალაქ ბოსტონში (ჩრდილო ამერიკა) 12 და 13 ნოემბერს 1833 წ. და როგორც მნახველები აგვიწერენ სწორედ რო შუშხუნების სასწაული იყოო... ამაზედ უმეტესათ დიდ მშვენიერი სურათის სანახაობა წარმოსადგენათაც ძნელია...

მეცნიერმა **ოლმბერსმა** კარგად რო შეიისწავლა „მცვივანა ვარსკვლავების“ თავი და ბოლო, მათი ხასიათი, იწინასწარმეტყველა, რომ 1867 წ. კვლავ 12—13 ნოემბერს გამეორდება აღწერილი სურათიო. ეს წინასწარ ნათქვამი მართლაც აღსრულდა 1866 წელს, კვლავ მოხდა ცაში უბრწყინვალესი ილლიუმინაცია—აუარებელი ნაკადული ცეცხლის წვიმისა ნიაღვარივით წამოვიდა დედა-მიწისკენ, მას აქეთაა თითქმის რო დაკანონეს და პერიოდულ მოვლენათ აღიარეს „მცვივანა ვარსკვლავების“ ცეცხლის წვიმა.

მართლაც და 1883 წ. კვლავ ნოემბრის 12-ტიდან 13-ზე ღამე მეცნიერებმა **ოლმსტედმა** და **პალმერმა** ათვალიერეს ჩრდილო ამერიკაში **ნიუგვვანის** აღლოდ **ცეცხლის ბურთები**, რომელნიც შუშხუნასაებ სქდებოდენ ქეკა-ქუხილით და ცეცხლის ალს ისროდენ ყოველ მხრივ. მერე ისე მრავლად, რომ ცეცხლის ნაპერწკლები დედა-მიწას თოვლივით ბარდნიდა. მთლად ცა ცეცხლის ალში იყო გახვეული. ეს მოვლენა 9 საათს გრძელდებოდა. მეთვალყურე მეცნიერთა ანგარიშით, რომელნიც **ტელესკოპს** (დურბინდი) არ შორდებოდენ, იმ ღამეს სულ ცოტა სამასი ათასამდე „ვარსკვლავი“ ჩამოვარდა დედა-მიწაზედაო.

„მცვივანა ვარსკვლავებს“ მეტეორიტებთან (ცის ნატეხები) საერთო ბევრი რამ აქვსთ. ამათზე შემდეგ ვიმაასოთ.

ილ. ალხაზიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმიდა ერმის მტრედები.

(ბოლშური ლეგენდა).

ესო ჯერ ისევ პატარა იყო, როდესაც ფეხშიშველა და პერანგის ამარა სულ მუდამ დარბოდა ნაზარეთის ქუჩებზე: ცელქობდა, თამაშობდა და ამ თამაშობაში და ცელქობაში იჩენდა ხოლმე სასწაულთა ძალას.

ერთხელ ტაბაკზე დარჩენილი, სულ მთლათ გამშრალი, თევზი აიღო, წვიმის წყლის საგუბარში ჩაისროლა და უბრძანა მას: „თევზო! იცურავეო“. თევზმა წყალში მაშინათვე გაიშბაპუნა, ცურაობა დაიწყო და იესოს აღტაცებული ამხანაგების მიერ წყალში ჩაყრილ ნამცეცებს ყლაპვა დაუწყო.

თამაშობის დროს ბავშვებს რომ ბაწარი გაუწყდებოდათ, ან ჯოხი, ან ნაჭუკი გადაუტყდებოდათ, წმიდა ერმი ბავშვური კრძალვით მიაკოწიწებდა ნამტვრევებს და უწმეოოთ გააერთებდა ხოლმე გაფუქებულ ნივთებს.

ერთხელ იესო სხვა ბავშვებთან ერთათ კეკე-მალულობასა თამაშობდა... ამათ პირობა დასდეს—არამცა და არამც სხვაგან არსად დამალულიყვნენ, თუ არ ეზოში, მაგრამ ამათ განიზრახეს იესოს მოტყუილება და დასამალავათ თავიანთ სახლში შეიჯრნენ. თავიანთ დედებსაც კი სთხოვეს, არ ეთქვათ ამათ, თუ სად იყვნენ იგინი დამალულნი. იესომ დაუწყო ძებნა და ამ ძებნაში იგი შევიდა იმ სახლში, სადაც ბავშვები ეგულებოდა... დედებმა უთხრეს—ბავშვები აქ არ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამალულებიო. იესომ კი თვალი მოჰკრა ბუხრის კუთხეში მიმალულ ხუჭუჭა თავებს... დედებმა უპასუხეს: ესენი ხომ ბავშვები არ არიან, ციკნები არიანო...

— ციკნები? — ჰკითხა იესომ — თუ ეს ასეა, დეე იგი წავიდნენ მეცხვარესთან და მინდორში ბალახის ძოვნა დაიწყონო...

ყველას გასაკვირველათ, თქმა იყო ამისი და ბუხრიდან გამოძრომა ორი ბანჯღლიანი, ცანცარა წვერებიანი ციკნებისა!.· გამოხტნენ ოვინი და იესოს გარშემო ხტუნაობა და ალერსი დაიწყეს.

იესომ მიუალერსა ამათ, შიშველა ფეხი ჰკრა და ისევ ბავშვებათ გადააქცია ისინი... ბავშვები კი შიშისგან ისევ ოთხზედ დადიოდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ბღაოდენ.

რომ დაამშვიდოს და ანუგეშოს ესენი, იესომ თიხიდან სხვა და სხვა ცხოველები გააკეთა, დაყარა მიწაზედ და მერე ერთი ბრძანებით აამოძრავა ეს უსულო საგნები: ტიკინებმა ჯარის კაცებივით ტრიალი დაიწყეს, ჩიტებმა შეიფართხალეს, ბატკნები გავარდნენ და დაიწყეს ძოვნა. ამ სასწაულის მნახველმა ბავშვებმა ბევრი იცინეს, ისიამოვნეს, მაგრამ მაინცა და მაინც შიშითა და კრძალვით დაუწყეს იესოს ყურება, ასე რომ წმიდა ყრმა იძულებული ხდებოდა მარტოთ მარტო ეთამაშნა. ამ მარტოობაშიაც ისეთს რამეს გამოიგონებდა ხოლმე თამაშობის დროს, რომ დიდიც კი ვერ შესძლებდა ყველა ამის მოხერხებას.

იესო თავის ქოხის წინ გააშენებდა ხოლმე ბახჩას, დარგავდა ხოლმე ბალახსა და ყვავილებს და თავისი პაწაწკინტელა ხელებით რწყავდა და ისეთ ნაირათ იხარებდა ყველა იქ დარგული, რომ ყველა მებაღეები განცვიფრებაში მოდიოდნენ.

ხან და ხან ოგი ნაფოტებიდან გააკეთებდა ხოლმე სკას და მეორე დღეს ეს სკა იმსებოდა აუარებელი ფუტკრებით... ამ ფუტკრების მიერ გაკეთებული თაფლი ოქროს ფერი იყო, როგორც მზე და ტკბილი, როგორც გული პაწაწინა იესოსი. ვარდის ხელებს ამოავლებდა ხოლმე, თაფლში წაუსვამდა პურის ნატეხებს და ურიგებდა ღარიბ ბავშვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიამოვნებით უცქეროდა, როცა ესენი გემრიელათ შეექცეოდნენ.

ხან და ხან იესო ნაფოტებიდან ნავებსაც გააკეთებდა ხოლმე, ჩაუშვებდა ნაკადულში და დაცურავდენ იგინი ისე, როგორც ნებავდა პაწაწინა მეზღვაურს.

ეს პაწაწინა ბავშვი ხან და ხან იოსებსაც შველოდა მუშაობაში. ამ დროს საქმე სისწრაფითა და მარჯვეთა კეთდებოდა. იოსებს უყვარდა, როდესაც შენიშნავდა ხოლმე, რომ ფიცრები იესოს ერთი ხელის შეხებით გაიწყობოდნენ ხოლმე, თავისუფლდებოდენ ნეკრიდან და, როგორც ლიბანის ნაძვის ყავარი, სწორი და მშვენიერი გამოდიოდნენ.

როდესაც მისი დედა სარეცხსა რეცხავდა, იესო მაშინათვე ჩალას ჩაჰყოფდა ხოლმე საპნის წყალში, ჩაჰბერავდა თავისი მშვენიერი პირით, საპნის ბუშტებს შეათამაშებდა, სხვა და სხვა ფერათ გაშლიდა და ძვირფასი ქვებივით ზევითა და ქვევით იბერტყებოდნენ. ამ დროს საცვლებიც მშვენივრათ ირეცხებოდა.

ავდრიანობისას იესო დაჯდებოდა ხოლმე კარების წინ და დარბილებული თიხიდან გამოაქანდაკებდა ხოლმე ყვავილებს, ფოთლებს, ხეებს, მხეცებს და ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც გონებაში მოუვიდოდა.

ერთს შობა დღეს, იესო იჯდა კარებ წინ და თიხიდან აკეთებდა მტრედებს; თორმეტი ქოჩორა მტრედი უკვე გაკეთებული ჰქონდა, როდესაც ერთმა ფარისეველმა შენიშნა ეს და სასტიკათ დაგმო იგი უქმე დღის გატეხისათვის. შეშინებულმა ბავშმა, ფარისეველის დასამშვიდებლათ, აიქნია ხელი — მტრედებმა გაიფართხალეს, ფრთები გაშალეს და ისარივით სულ მაღლა-მაღლა გასრიალდენ. ფარისეველი დამშვიდდა. ამას ეგონა მოვტყუვდიო და ლოცვითა და კურთხევით გაუდგა გზას. იმის დანახვაც კი ვერ მოასწრო, რომ მტრედებმა გაპენტილი ბამბასაებრ თეთრი ფერი მიიღეს და ზამბახივით ბუკვრიალი დაიწყეს მზის სხივებში.

ბავშვის პაწაწინა ხელებით შექმნილმა და მისი შემკრთალი გულის ნებით გაცოცხლებულმა მტრედებმა, სიმშვიდის გარდა, მიიღეს არაჩვეულებრივი გულის-ყური და ნიჭი საუკუნო არსებობისა.

ეს შემთხვევა იყო უკანასკნელი გართობა, ბავშვური ცელქობა იესოსი. ამ წუთიდან მან დაიწყო ფიქრი ძველი აღთქმის კანონების სისასტიკეზე, ღმერთზედ და წინასწარ იგრძნო, რომ მალე იგი წინასწარმეტყველათ გახდება, მასწავლებლათ და დასდებს თავსა თვისსა მსხვერპლათ ახალი აღთქმისა — სიყვარულის აღთქმისა.

—

თეთრი მტრედები სულ მუდამ ჟამს თან დასდევდენ თავიანთ შემქმნელს: ვინემ იესო თავის სამშობლო ქალაქში იმყოფებოდა, იგინი დავრდომილ ხუროს ღარიბი ქოხის ბანზედ ბუდეებს იკეთებდენ. და, როდესაც მან იწყო მოგზაურობა, მტრედებიც თან დაჰყვებოდნენ ახალი აღთქმის მქადაგებელს.

იესო ჯვარზედ რომ სულსა ლევდა, გაუმაძღარი ყორნების მაგიერ, გაჩდნენ მტრედები, ეხვეოდნენ მას გვერგვინივით, იქნევდნენ ფრთებსა, ეკლითა და ტანჯვით განგმირულ სახეს უგრილებდნენ და ნათელ აზრებს უნერგავდნენ მის ტანჯულ თავს.

იგინი თავს დასტრიალებდნენ მის საფლავს; მათი გაშლილი ფრთები და აბურძგნული ბუმბული მოეჩვენენ სიმწარისაგან ჭკუა-დაკარგულ მარიამ მაგდალინელს ბრწყინვალე ანგელოზებათა, რომელთაგანაც ხმა მოესმა მას:

— დედაკაცო! ვის დასტირი აგრე მწარეთ?

50 დღის შემდეგ, როდესაც მოწაფეები შეიკრიფნენ, იგივე მტრედები გრიგალის ხმაურობის მგზავსათ, მოფრინდნენ ამათთან. გაკაშკაშებულნი, ორათ გაყოფილი ცეცხლის ალივით, შეეხო ყველა მათგანი მოციქულების თავებს და მტრედის ფრათ ჩამოეშო სული წმიდა და მიანიჭა მათ ძალი და სიმხნე ახალი მოძღვრების საქადაგებლათ.

მტრედები იყენენ განხორციელება სიკეთისა... იგინი სულ მუდამ, დაუღალავთ, დასტრიალებდნენ დედა-მიწას, ხალხს დადარდიანებულ გულს უმსუბუქებდნენ და საუკუნეში ერთხელ მხოლოთ იკრიფებოდნენ სადმე ფრიალო კლდეზედ და ნახულობდნენ ერთი ერთმანეთს.

ახლოვდებოდა ეს ჟამი შეყრისა; ყოველი მხრიდან მოფრინდნენ მტრედები, ამოირჩიეს ერთი ცხვირ-წვეტა კლდე, შემოევლენ ამ კლდეს რამდენჯერმე და ჩამოსხდნენ აქ.

უჩუმრათ ისწორებდნენ გაძობერილ ფრთებს, ქოჩორს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისვენებდნენ ქვეყნისგან მოშორებულ ფრიალო კლდეზედ. ამანთ ჩვეულებრივი სიწყნარე იდგა: უფსკრულის ძირში ჩანჩქერთან მებრძოლე ნაკადის ხმაურობა—შიპუნა წვიმის ხმაურობათ შოისმოდა; ნაძვისა და ნეკერჩხალას შრიალი—ჩურჩულათ, ქარის ბრძოლა ღრუბლებთან კვნესასა და ოხვრას მოგგონებდა.

ვარსკვლავებს გაემშვენიერებინათ დიადი ცა და უფრო ახლო მოჩანდნენ, ვინემ გაძლიერებული ცეცხლი მწყემსებისა ღელეებში.

ამ ჩამკვდარ კლდეზედ ბევრ ხან ისხდნენ ფრინველები, შემაძრწუნებელი ხმაურობა ცხოვრებისა არა სწვდებოდა მათ; იგინი მხოლოთ შეეპყრო განცვიფრებას, განსვენების სანეტარო მწუხარებას. ტბილ ფიქრსა ძილ-სიკვდილზედ.

მათ მიმალეს თბილ ბუმბულში დაღალული თავები და მიეცნენ სანეტარო ძილს. ბაგრამ მოკლე იყო ეს ძილი... ერთმა მათგანმა ფრთები შეიბერტყა და დანარჩენები გამოაღვიძა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ამათ უნდა ერთი ერთმანეთისაოვის გაეზიარებინათ ნახული და გაგონილი ამ 100 წლის განმავლობაში.

(დასასრული იქნება)

ალ. ნათაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსმალეთი

და მისი შინაური ცხოვრება.

(გაგრძელება)

ჯახის შენახვა ოსმალოს ძვირათ არ უჯდება. სახლის მოწყობილობა სულ უბრალო აქვს. არავითარი წვეულობის გამართვა არ იცის. ტანისამოსს სულ უბრალოს იცვამენ ოსმალოები: სადას და იაფ ფასიანს. ამის და მიუხედავათ, ოსმალოს უყვარს თავისებურათ სახლის მოწყობა ისე, რომ მას არაფერი არ აწუხებდეს. არ უყვარს ხმაურობა, მეტადრე ფეხის ხმა, რადგანაც ის არღვევს მის ოცნებობას. ამიტომაც სახლში ყველგან ხალიჩებია დაფენილი. კედლებთან მიდგმულია რბილი სავარძლები, ზედ რბილი ბალიშები აწყვია. ფეხზედ აცვიათ ფოსტლები, რბილი ჩუსტები. ოსმალო ნავში იმყოფება თუ ცხენზე, თავის ბაღშია თუ თავის მეგობართან, ყველგან განცხრომაში ატარებს დროს, ყველგან ირგვლივ უწყვია ბალიშები, ხალიჩები და ლეიბები. საწოლები მათ არ იციან, ისინი პირდაპირ იატაკზედ, ხალიჩაზედ გადაშლილან გრძელ ლეიბს და იმართავენ საწოლებს. დილაობით აალაგებენ და იქვე ოთახში გაკეთებულ განჯინებში შეინახავენ. ამგვარი ცხოვრება მას ძვირათ არ უზის, მაგრამ უმოსამსახურო კი ოსმალო ვერ გასძლებს. ოსმალო თუ ძალიან ღატაკია, მხოლოთ მაშინ არა ჰყავს მოსამსახურე. უმეტესათ ოჯახში რამდენიმე მოსამსახურეა—ქალი და კაცი. ვერსად ნახავთ მოსამსახურის ისეთ განკერძოებას შინაურ საქმეებში, როგორც ოსმალეთში. თვითეული მოსამსახურეს განსაზღვრული საქმე აქვს მინდობილი. ერთი მათგანი ამზადებს მხოლოთ ყავას და, რაც უნდა საჭირო იყოს, წყალს არ მოიტანს; მეორეს მინდობილი აქვს თამბაქო და ჩიბუხები და არამც და არამც ბატონს ყავას არ მიართმევს. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებათ იმუშაოს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოსამსახურეების შენახვა ცოტა ჯდება. ოსმალო ძლიერ ზომიერია საქმელში. ერთი ჯამი ფლავი ხორცით არის მისი სადილი. მოსამსახურეს ტანისამოსი წლობით აცვია, როდესაც თბილა, მაშინ თეთრეულის გარდა არა აცვიათ რა.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთ ოსმალოს მაინც ძვირათ უჯდება ოჯახი, რადგან რამდენიმე ცოლი ჰყავს შესანახი. ამ მიზეზით ოსმალო ერიდება რამდენიმე ცოლის შემოყვანას სახლში, თუმცა ყურანი ამის ნებას აძლევს.

სახლის მორთულობა, როგორც უკვე ვთქვით, ძლიერ სადა და უბრალოა. თუ მდიდარ ოსმალოს მოეპოვება ძვირფასი ფიფფური, ოქრო-ვეერცხლი და დიდ ფასიანი იარაღი-საჭურველი, ის ინახავს ამას დიდრონ რკინით მოჭედილ სკივრებში. კედლები ოსმალოს სახლში მოტიტვლებულია, ულაზათო; მდიდარ სახლში ეს კედლები შეთეთრებული მაინც არის. ეხლა ცოტ-ცოტა შემოდის ევროპიულათ ოთახების მორთვა. სახლთან ყოველთვის ბაღი აქვთ, ოსმალოს უყვარს თავისი ბაღი. მცენარეებს კი სულ უბრალოთ უყვიან, ფანჯრების პირი ბაღისაკენ აქვთ. ფანჯრები ოსმალოს სახლში უმინოთ არის, ამიტომაც გარედან ბევრი მტვერი შემოდის.

ტანთსაცმელი ოსმალომ ბოლო დროს შეიცვალა ევროპიულ ტანსაცმელზე, თუმცა თავის მოსართავათ კი ისევ ფესი დარჩა. თავის მოსაკაზმს აქ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ოსმალოს ფეხ-შიშველა ყოფნა ურჩევნია ვიდრე თავ დაუხურავი. ევროპიული ქუდი მას სრულებით არ მოსწონს. სულთანმა, მახაზედ II შესცვალა ჯარის კაცების ჩაცმულობა ევროპიულზე, მაგრამ ფესის განდევნა ვერ შესძლო. ეს გამოიწვევდა დიდ უსიამოვნებას ხალხში.

დილით დაიხურავს ოსმალო ფესს და მხოლოთ საღამოს მოიხდის. იქნება ამას ოსმალო მზის მწვავე სხივებმა და ხშირი ჰაერის ცვლილებამ შეაჩვია. ამასთანავე ოსმალომ კანონის ძალით თავი ან უნდა იპარსოს ან სულ მოკლეთ შეიკრიჭოს თმა.

ოსმალეთში კიდევ არის მონობა. მამაკაცები მონები ცოტაა. ქალები მონები კი ეხლაც ყოველ ოჯახში აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. ესენი არიან: არაბის, ზანგების და ლეკების ქალები. მონა მამა-კაცები უმთავრესათ ზანგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან. იქ სადაც ევროპიელის თვალი ვერ მისწვდება, — აფრიკაში — ეხლაც არსებობს მონების ყიდვა-გაყიდვა. დარაზმული ხალხი მიდის ამ მონების საშოვნელათ, პარარ-პატარა სოფლებიდან მოჰყავთ ტყვეთ მცხოვრებლები და ჰყიდიან ამათ, როგორც მონებს.

ევროპის დიდი ქვეყნების ძალ დატანებით, ოსმალოს მართველობისაგან მონობა ჯერ კიდევ ოცი წლის წინეთ იყო აკრძალული, მაგრამ ეხლაც შეხვდებით მონებით ვაჭრებს სტამბოლში, მხოლოთ ქალაქის ევროპიულ ნაწილში ეს ხდება ფარულათ; სტამბოლში არის ყავა-ხანები, სადაც შეიძლება ამ საკანზე მოელაპარაკოთ და შეიძინოთ მონა მთავრობამ იცის ეს ადგილები, მაგრამ ხმას არა სცემს, რადგანაც მონებს ყიდულობენ უმეტესათ მდიდრები და წარჩინებული პირები. ოსმალეთის ჩრდილოეთ პროვინციებში მონების გაყიდვა სწარმოების ცხადათ. ქალაქ მეკკაში არის მონების ბაზარი, აქ შეკრებილი ჰყავთ: ქალები, ბავშვები, მამა-კაცები; მყიდველნი, როგორც პირუტყვებს ისე ექცევიან ამათ: ატიტვლებენ, სინჯავენ, ვაჭრობენ, უსინჯავენ კბილებს, ფასებიც ხელ-მისაწვდენელია — ბავშვი ღირს 50—100 მანეთამდე, დედა-კაცი და მამა-კაცი — 200 მანეთიდან დაწყებული და მეტი. მცირე აზიაში და სტამბოლში ფასები უფრო მაღალია.

რადგანაც მონობა აღკრძალულია და მონა ძნელი საშოვნელიც ხდება, მეურნეობაში და მრეწველობაში თითქმის ვერა ნახავთ მათ. ოჯახებში კი ძლიერ გავრცელებულია მონების მუშაობა. აქ მონებს კარგათ ექცევიან. ოსმალოს ქალის მდგომარეობა ბევრით არ განირჩევა მონის მდგომარეობიდან და ეგინი ერთმანეთს დაუახლოვდენ და ამიტომ მონას არ უმწარებენ ღღეებს. ხშირათ აძლევენ მათ თავისუფლებას, ხშირათ ნახავთ ოსმალოს განვითარებულთა შორის ბევრს განთავისუფლებულ მონებს,

მონობა ძლიერ გავრცელებული იყო არაბებ შორის მახამედის დროს. მახამედი ვერ ბედავდა აეკრძალა ან სრულებით განედევნა, ეგი ცდილობდა მხოლოთ გაეადვილებინა მონის მდგომარეობა, ასწავლიდა ხალხს კარგათ მოპყრობოდენ მონას, არ დაეტვირთათ ეგინი უზომო მუშაობით,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲐᲗ თავის ოჯ-ᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗ. ᲙᲔᲗᲘᲚ და ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐᲗ მეთ მიაᲩᲜᲔᲓᲐთ მონის განთავისᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ამ გვარ შეᲮᲕᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐმ გააადვილა მონის მდგომარეობა. მაგრამ ეᲮᲚᲐᲪ ოსმალეთᲨᲘ ბატონს ნება აქვს მონა ᲪᲔᲚᲛᲔთ დასაᲯᲚᲝს.

ახლა გადავავლოთ თვალი იმათ ბაზარს და ქუᲩᲔᲑს.

ბაზარი ქალაქში, შუა გულ ადგილას არის ᲮᲝᲚᲛᲔ. აქ იკრიფება ხალᲮᲘ. ვიᲬᲠᲝ ქუᲩᲔᲑᲘთ მიახᲬᲔᲕთ ბაზარს. ეს ქუᲩᲔᲑᲘ იმდენათ ვიᲬᲠᲝᲗ, რომ ორი ეტლი ერთათ ვერ გაივლის. ისეთი ქუᲩᲔᲑიც არის, სადაც ეტლით სიარული შეუძლებელია; იქ ვირებით, ᲪᲮᲔᲜᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ; ტვირთის გადასატანათ კი მათ ᲰᲧᲐᲕთ ᲰᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘ. ესენი აუცილებელი საᲭᲘᲠᲝᲜᲘ არიან დიდ ქალაქებᲨᲘ. ᲰᲐᲛᲐᲚᲘ—მაღალი, ᲦᲠᲜᲘᲔᲠᲘ, ფართე ᲑᲔᲯᲔᲑᲘᲐᲜᲘ კაცია, მაგარი ᲮᲔᲚ-ᲤᲔᲮᲘთ. როდესაც ტვირთი მიაქვს ისე დაიკუᲬᲔᲑᲐ, რომ თითქოს მიᲬᲐᲡ ᲔᲙᲘᲠᲘსო. რადგანაც გამᲯᲔᲚ-გამომᲯᲔᲚᲘს ვერ ᲮᲔᲓᲐᲕს, ამიტომაც ᲮᲛᲐ-მაღლა ყᲕᲘრის, ᲮᲐᲚᲡᲘ აფრთᲮᲘᲚᲔᲑს.

ამათ გადაᲐᲥᲕთ ავეᲯᲔᲣᲚᲝᲑა, რკინეᲣᲚᲝᲑა, ქვა, აგური, ფიცრები, ᲡᲐᲞᲐᲚᲜᲘს ტომრები. ᲰᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘ მთიულ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗᲐᲜ, ანატოლიიდან მოდიან.

დიდ ქალაქებᲨᲘ ძლიერ ᲑᲔᲯᲠᲘს შეᲮᲕᲓᲔᲑᲘთ. მარტო სტამᲑᲝᲚᲨᲘ 30,000 კაცია. თუმცა ძლიერ იᲦᲚᲔᲑᲘᲐᲜ, მაგრამ სᲣᲚ ცოტას სᲬᲐᲛᲔ.

მათ ᲰᲧᲝᲤᲜᲘს ცოტაოდენი ᲚᲘᲕᲐᲨᲘ, რამდენიმე ᲮᲐᲮᲕᲘს თავი და ნესვი. ფლავი და ᲥᲐᲗᲐᲛᲘ—მათთვის იშვიათი ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲐ და მუშა თითᲨᲘ ერთხელ თუ ᲔᲦᲘᲠᲘᲡᲔᲑᲐ მაგ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲗᲔᲑᲐს. ᲰᲐᲛᲐᲚᲘ სანდო და პატიოსანია; მათ ᲔᲜᲓᲝᲑᲘᲐᲜ ძᲕᲘრფას ნივთებს, დიდ ფულებს. ᲰᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘ დიდ ქალაქებᲨᲘ შეადგენენ კავშირებს.

ᲰᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘ დილიდან სᲦᲐᲛᲛᲓᲔ დადიან ქუᲩᲔᲑᲨᲘ. ქუᲩᲔᲑᲨᲘᲕᲔ ტრიალᲔᲑᲔᲜ ვირები, მᲔᲯᲘᲓᲣᲠᲐთ მიიᲮᲚᲐᲖᲜᲔᲑᲘᲐᲜ აქᲬᲝᲛᲔᲑი. აქვე მოდᲔᲜᲘᲐᲜ ᲮᲐᲠᲔᲑს, ცᲮᲕᲠᲔᲑს, თᲮᲔᲑს, კამᲔᲩᲘᲡს; აუᲐᲠᲔᲑᲔᲚი ძაღლები დარᲑᲘᲐᲜ. ოსმალოს საᲮᲝᲒᲐᲓᲝთ უᲧᲕᲐრს ძაღლი, ძაღლები ქუᲩᲔᲑᲨᲘ სცᲮᲝᲕრობენ.

მათ ᲮᲔᲚᲨᲘ არავინ აᲮᲚᲔᲑს, რადგანაც ძაღლები სანიტარების როლს ასრულᲔᲑᲔᲜ. ასᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲔᲜ ქუᲩᲔᲑს, რადგან უᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲝᲑᲐს პირდაპირ ქუᲩᲔᲑᲨᲘ ᲰᲧᲠᲘᲐᲜ. ამ ქალაქებᲨᲘ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი კანალიზაცია არ პოიპოვება და ეს ძაღლები, რომ არ ასუფთავებდენ ქუჩებს, მცხოვრებლებს ძლიერ ცუდი დღე დაადგებოდათ.

მიუხედავათ ამისა ქუჩებში დიდი სიმყრალეა, ბაზრის სიახლოვედან მოდის საშინელი სუნი.

ქუჩები საძაღლათ არის მოკირწყლული და სხვა ქალაქების ქუჩებთან შედარებით ეს ქუჩები პირდაპირ ჯოჯოხეთია.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქუჩას მოკირწყლავენ სხვა და სხვა ზომის ქვებით. წყალი ნაწვიმარზე ჩადგება ხოლმე ქვებ და ქვებ შუა. ყოველ მხრიდან მოსჩანს წვეტიანი ქვები. ჩქარი სიარული შეუძლებელია. ეგებ ამიტომაც ოსმალო დინჯათ და ამაყათ დადის.

ქუჩაში, მუდამ სახლებ წინ სხედან მოხელეები სამუშაო იარაღებით. იქვე აქვთ სახელოსნო, მეტათ ბნელი ოთახი, სადაც კერავენ ტანისამოს, ჰედავენ, ლესავენ, ჭკერავენ ფეხსაცმელებს, ქუჩიდან ყველაფერი იხედება. იქ ხელოსნებიც, მუშებიც, ყველანი სხედან ძირს მიწაზე, ფეხ-მოკეცილები.

დუქანთან კუთხეში მიმალულია ფურნე. მოსჩანს—გრძელი, რგვალი, დიდი და პატარა პურები, ლავაშები, სიმინდის ფქვილის პატარა პურები—ჩვენი ჭადის მინაგვანი. პურები აწყვია მაგიდაზე—მტვერი ადევთ მათ. აქვე ანთია ცეცხლი, ფურნე გახურებულია, მუშები იღებენ ფურნიდან პურებს. ამას დინჯათ, წყნარათ, აუჩქარებლათ აკეთებენ ისე, როგორც ყოველთვის: ჩვეულებრივ ოსმალო აუჩქარებლათ მუშაობს.

აგერ ბაზარშიც მივედით, ეს არის ცუდათ მოკირწყლული, ოღრო-ჩოღრო ქუჩა ქოხ-მახვებით, სადაც ჰყიდიან წვანილს, საცმელს, ცხოველებს, წვრილმანებს. აქ არის სხვა და სხვა ფერი ფეხსაცმელი, სპილენძის ჭურჭელი, იარაღი, ხალიჩები, დაბალი მაგიდები, ჩიბუხები, საყავეები, ფინჯნები, წვრილათ დაჭრილი ცხვრის ხორცი, ყურანიდან ლექსები—ამას ყოველისფერს ნახავთ ბაზარში.

(შემდეგი იქნება)

ტფილისის სახელმწიფო

ალ—ფა.

64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I აჩიკოს ბატკანი. სურათი 2
II საახალწლო ნანა, ლექსი შაო მდგომელისა . . . 3
III შირაქში, ამბავი ივ. გომარდელისა (შემდეგი იქნება). 5
IV მეშვიდეს აღარ ერგო. ანსტასია წერეთელისა . . . 15
V შვილობილი (ბრძოლის ველიდან) თარგმანი კუდრაჭასი 19
VI წელდის თავი (დასასრული შემდეგ) გ. დ. ჭრელაშვილისა 27
VII კითხვების პასუხი 35
VIII წვრილმანი: გამოცანები, შარადა, ახსნა . . . 37

IX წერილი რედაქტორთან 41
X სწავლა წინსვლის ხიდია. ლექსი ვ. რუხაძისა . . 42
XI ბულბული და ძერა (თარგმანი) ნანა ავალიანისა. . 43
XII ამბავი ზესკენელისა ილ. ალასანიშვილისა (შემდეგი იქნება) 50
XIII წმიდა ყრმის მტოვდები (პოლ შეფერი ლეგენდა) ალ. ნათაძისა (დასასრული შემდეგ) 54
XIV ოსმალეთი და მისი შინაური ცხოვრება, (გაგრძელება) ს. ფ.-სა. 59

„ჯეჯილ“-ზე

მიიღება ხელის მოწერა

1915 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა * თბილისი *